რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 15 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 96 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 96

აუტანელ მწუხარებასა შინა მყოფნი მშობლები, ძმები და და, მამა ნიკო, დედა მაკა ქაჯაიას ასული, შვილები: იოსებ, შამშე, და დომნა ნიკოს ძენი კახიანნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 16 მაისს ს. ჯუგთუბანში წმინდა ილიას ეკლესიაში გადახდილი იქნება საორმოცო პანაშვიდი ნაშუადღევის 3 საათზე, უ ცარი შემთხვევით მ ხვერპლის

**ვარლამ ნიკოს ძე კახიანის.**

## ძლიერი ცენტრი

ამიერ კავკასიის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი ხანია თანამედროვე წარმოების ურთიერთობის უღელში შეება და კარჩაკეტილი მეურნეობის ნაჭუჭს მოიშორა. კაპიტალისტურმა წარმოებამ, საამღროვო აღებ-მიცემობამ და საქონლის გაცვლა-გამოცვლამ ისე ფართო ნიადაგი მოიპოვა და ამიერ კავკასიის სხვადასხვა კუთხეები და მათი მცხოვრებნი ერთმანეთს მრავალი ძაფებით გადაებნენ და მათ შორის კავშირი უაღრესათ განმტკიცდა.

ასეთ ურთიერთობაზეა აღმოცენებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა, მოქ ლაქობრივი კავშირი.

ამ ცნებას დღეს ჟამ-მოჭმულ საშუალო საუკუნოების ურთიერთობის მოტრფიალე იდეოლოგის გარდა არავინ არ უარყოფს და მთელი თანამედროვე კლასები გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრებისაკენ მიილტვიან. დაასუსტეთ ასეთი კავშირი და დასუსტდება მთელი თანამედროვე ცხოვრება, თანამედროვე აღებ-მიცემობა და ურთიერთ შორის გაძლიერებული კავშირი.

ამერიკის, ავსტრალიის, გერმანიის, შვეიცარიის და სხვა სახელმწიფოების კონსტიტუციები აქეთ არის მიმართული და იქ, სადაც ფედერატიული ურთიერთობა არსებობს, ყველგან ძლიერი ცენტრის შექმნისაკენ მიიშურებიან.

გერმანიის სახელმწიფოს კონსტიტუცია და მისი ძირითადი დებულებები დროსა და გარემოების მიხედვით იცვლებოდა და მრავალი სხვადასხვა სამეფოები და სამთავროები განცალკევებულ ერთეულების ხასიათს კარგავდენ. ეკონომიური, ფინანსიური მილიტარისტული ძალა, საერთო მიმოსვლის საშუალებანი, ზომა, წონა და სხვა მრავალი სოციალური კანონმდებლობა საიმპერიო ხდება, რითაც ეკონომიურ ცხოვრებას ფართო ასპარეზი ეძლევა განსავითარებლათ.

ასევე ითქმის ამერიკისა და შვეიცარიის ფედერატიულ რესპუბლიკებზე. ტენდენცია იქაც გაერთიანებისა და ცენტრის გაძლიერებისაკენ არის მიმართული და ამ ძირითად მიმდინარეობის შეჩერება არავის არ შეუძლიან.

ეს ცოტაა. თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც კი საერთო კავშირს ეძებენ და ამ მსოფლიო ომის ქარტეხილში სხვადასხვა კავშირები იქმნებიან. შესდგა ცენტრალური სახელმწიფოთა კავშირი და მათ შორის ეკონომიური ურთიერთობა მჭიდროთ იჯაჭვება.

ასეთი კავშირისა და ცენტრის გაძლიერების ტენდენცია, ვიმეორებთ, გამოწვეულია არსებულ წარმოების ურთიერთობით და არა რომელიმე პარტიის თუ კლასის ჟინიანობით. ცენტრის განძლიერება, კავშირის ფართო ნიადაგზე დამყარება აღორძინებს და ხელს უწყობს ყოველი კუთხის მცხოვრებთა ეკონომიურათ და კულტურულათ დაწინაურებას. ყველა ის, რაც კი ასეთ კავშირს ეწინააღმდეგება, აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრების მთავარ ძარღვს — წარმოების გაფართოება-განვითარებას.

ეჭვს გარეშეა ამიერ კავკასიის კონსტიტუციაც ასეთ საფუძველზე უნდა აშენდეს და ასეთ ნიადაგზე დაყრდნობილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველ მხრივ განვითარდება. დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია ნივთიერი ურთიერთობის შედეგი არ უნდა იყოს, მის შემუშავებას საფუძვლათ არ უნდა დაედოს ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ერების კულტურული მდგომარეობა, ეკონომიური განვითარების ოდნავი განსხვავება. ყველა ეს წარმავალია და მალე სრულიათ გათანასწორდება.

არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სახელმწიფოში კონსტიტუციის შემუშავების დროს წუთიერ მდგომარეობით არ ხელმძღვანელობდნენ და მის ავტორებს თუ ინიციატორებს მუდამ ფართო პერსპექტივა ქონიათ დასახული. კონსტიტუციის შემუშავება სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ხელშეკრულება არ არის, იგი ხანგრძლივი ურთიერთობისა და მომავალ ცხოვრების ნორმებია და, მაშასადამე, მხედველობაში ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ტენდენციები უნდა ქონდეს მიღებული. ამიტომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიული, ფედერატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ცენტრის გაძლიერების ნიადაგზე უნდა იქნას აშენებული.

## პრესა

თფილისის გუბერნიას ბევრი ლტოლვილი მოაწყდა. ეს, რასაკვირველია, არ არის სასურველი მრავალი მოსაზრებით. სხვათა შორის ლტოლვილთა რიცხვის გამრავლება საშიშია იმით, რომ შესაძლოა სასურსათო კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდეს და ათასგვარი ავათმყოფობა გავრცელდეს. ასე არ ესმით ეს საკითხი ნაციონალისტებს. ამათ რიცხვში პირველი ადგილი „გარუსებულ" ქართველ ნაციონალისტებს უჭირავს. „ვოზროჟდენიე"-ში ბ-ნი toii სწერს საქართველოში შემოხიზნულ ლტოლვილთა შესახებ:

„აქ ამათთვის ჯერ არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწევია არავის, პირიქით ხალისით ხვდებოდენ მათ ადგილობრივი ორგანიზაციები იმ იმედით, რომ დროებით დახმარების აღმოჩენის შემდეგ ისინი რუსეთში იქნებოდენ გაგზავნილი... სომეხი ლტოვლილები ყოველ დღე მოდიან და ავსებენ თფილისს და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს, მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობენ".

„ვოზროჟდენიე" აღნიშნავს, თუ რა უბედურება შეიძლება მოყვეს ასეთს შეხიზნვას და მთავრობას ურჩევს მიიღოს ზომები, რომ:

„1) ლტოლვილი სომხები დარჩენ იქ, სადაც დღეს არიან გაჩერებული ან უმჯობესია დაბრუნდენ სამშობლოში, 2) საქართველოს საზღვრები დაუყოვნებლათ დაიკეტოს ლტოლვილთათვის შეიარაღებული ძალით, როგორც ამას შვებიან ყველა სახელმწიფოები, რომელნიც მხოლოდ პიროვნების შემოწმების შემდეგ უშვებენ თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების მოქალაქეებს".

რასაკვირველია კარგი იქნებოდა, რომ ლტოლვილები სამშობლოში დაბრუნებული ყვენ. შინ დაბრუნების სურვილი, ეჭვი არ არის თითონ ლტოლვილებს უფრო ძლიერი აქვთ, ვინემ „ვოზროჟდენიე"-ს, მაგრამ გაჭირება აიძულებს მათ სხვის ქვეყანაში იხეტიალონ. ნაციონალისტები კი მათ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს უკეტავენ. ჩვენ ეს არ გვაკვირვებს, რადგან ნაციონალისტი ყველგან ნაციონალისტია იქნება ის სომხეთში თუ საქართველოში. ნაციონალისტების კაცი-ჭამიობამ შექმნა ის მდგომარეობა, რომ სომხებს თათრების რაიონში არ ედგომებათ და თათრებს სომხებისაში. ვიმეორებთ, „ვოზროჟდენიეს" პროვოკაციული ქადაგება ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგრამ როგორ ვერ გაიგო ამ „მეცნიერების" ორგანომ, რომ საქართველოს ჯერ ჯერობით სახელმწიფოებრივი ტერიტორია არ აქვს და ამიტომ საქართველოს საზღვრების დაკეტვაც შეუძლებელია. მართალს ამბობდენ რომაელები: ვისაც ღმერთი გაუწყრება გონებას დაუკარგავსო.

* * *

„სახალხო საქმე" ისე კალამს არ მოჰკიდებს ხელს, რომ აკუთარი ღვაწლი არ მოიგონოს და თავისი უპირატესობა არ აღნიშნოს ეროვნულ საკითხის გადაჭრაში. 14 მაისის ნომერში გაზეთს მოყავს ჩვენი წერილი, სადაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის ერთა სხვადასხვაობა და ამის მიხედვით სახელმწიფოს მოწყობის საჭიროება და დასძენს:

„რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს დასელებს ადრე შეეგნოთ ეს უბრალო ჭეშმარიტებაი"!

მართლა რა კარგი იქნებოდა, რომ ფედერალისტები დიაკვანივით არ იმეორებდენ მუდამ ერთსა და იმავე გაცვეთილ სიტყვებს!

## ფინლიანდიის ბედი

გერმანიის მთავრ იამ ამცნო ქვეყანას, რომ მისმა ჯარმა დაამარცხა ფინლიანდიის მეამბოხეები და ოცი ათასი ტყვედ წაიყვანა. იმავე დროს ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარემ სვინხუუდმა ორდენით დაასაჩუქრა ნემცების ჯარების უფროსი „სამშობლოს და ცივილიზაციის სამსახურისთვის".

მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის კამათი, რომელიც გამოწვეული იყო ფინელ სოციალ-დემოკრატების ქცევით რუსეთის რევოლიუციის პირველ თვეებში. ჩვენი ფინელი ამხანაგები გადაჭრით მოითხოვდენ ფინლიანდიის გამოყოფას რუსეთიდან და მის სრულ დამოუკიდებლობას. ადგილობრივი პრესაში მხოლოდ ჩვენი ორგანო აკრიტიკებდა მათ ტაქტიკას. სხვა ადგილობრივი პარტიები კი დიდის პატივით და ქებით იხსენიებდენ მათ პოლიტიკურ გამოსვლას. არც ის დავიწყებიათ მკითხველებს, რომ ფინლიანდიის ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების და ცალი თვალი მაინც რუსეთისკენ ეჭირა. როდესაც ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება, ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატია აქტიურათ გამოვიდა და დამოუკიდებლობა მისი ქვეყნის ფაქტად იქცა. იმავე დროს მან მოინდომა თავისი პროგრამა-მინიმუმის ცხოვრებაში გატარება. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ფინელ ამხანაგებს ბოლშევიკების დახმარების იმედი ქონდათ. ისინი ვერ მიხვდენ, რომ ოქტომბრის რევოლიუციას რუსეთის სივრცეზე მოყვა არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ ომიდან დაქანცულ „მეჩინების" ბატონობა. „მეჩინებს" ბევრი დაპირების მოცემა შეუძლია, ხოლო მის ასრულებას უფრო განგებას ანდობს, ვიდრე რევოლიუციონურ შემოქმედებას. ჩვენ ეჭვს ვერ შევიტანთ იმაში, რომ ლენინ-ტროცკის ქონდათ სურვილი დახმარებოდენ ფინლიანდიის მუშებს, მაგრამ იმავე დროს აშკარაა, რომ მათი ლაშქარი ასეთ დიდ და სახიფათო საქმეებისთვის თავს არ შეიწუხებდა. ფინლიანდიის ბურჟუაზიამ დააფასა ასეთი მდგომარეობა და თავის მუშებთან ბრძოლაში უცხოელები მოიწვია გერმანიის ჯარი შეუერთდა ფინლიანდიის ბურჟუაზიის გვარდიას და წესიერებაც და კანონიერებაც აღდგენილ იქნა „დამოუკიდებელ" ფინლიანდიაში. ჩვენ სულით და გულით მათთან ვართ, ვინც წინააღმდეგ ჩვენი პოლიტიკური ხაზისა ფინლიანდიის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და რუსეთის კოალიციონურ მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ თანაგრძნობის გამოცხადება შეგვიძლია დამარცხებულთა მიმართ. რეალურ დახმარებაზე ჩვენის მხრით ლაპარაკიც მეტია, რადგანაც ჩვენ უფრო უბედურ მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ფინლიანდიის სოციალისტები. ჩვენ უნდა შევინახოთ ის ძალები, რომელიც კიდევ შეგვრჩენია უფრო შესაფერ დროისთვის.

ნებას მივცემ ჩემ თავს შევეკითხო „სახალხო საქმეს", რომელიც ასე აქებდა ფინლიანდიის სოციალდემოკრატებს მათი ბატონობის დროს, რას ფიქრობს ის მათ დღევანდელ მდგომარეობაზე? მე დარწმუნებული ვარ, რომ „ნაციონალური ეგოიზმი" მას ვერ შეაჩერებს, მიუხედავათ ჩვენი უბედური მდგომარეობისა, და შესაფერად დააფასებს დღევანდელ გამარჯვებულების ქცევას.

ბ. თეკლათელი.

## მიწათმოქმედების სამინისტროსაგან

**ამიერ-კავკასიის სოფლის მცხოვრებთ.**

მოქალაქენო—სოფლელნო! ახლოვდება დრო, როცა ჯოგი უნდა გადენონ საზაფხულო საბალახოზე. წინათ, როდესაც სოფლათ წესიერება არ ირღვეოდა, ეროვნული შუღლი არ იყო გამწვავებული და ყველა უსიტყვოთ ემორჩილებოდა ძველი რეჟიმის ადმინისტრაციის უხეშ ძალას, არა ერთხელ მომხდარა შეტაკება და სისხლის ღვრა ჯოგის პატრონებსა და ხშირად მთელ სოფლელებს შორის ჯოგის ყიშლაღებიდან ეილაღებზე გადენის და ეილაღების გაყოფის დროს. მიმდინარე წელს, როცა ბათუმის და ყარსის ოლქის საბალახოებით სარგებლობა არ შეგვიძლიათ, რადგან იქ სამხედრო მოქმედებაა, თფილისის გუბერნიის ჯოგის პატრონები იძულებულნი არიან თავის გუბერნიის ეილაღებით დაკმაყოფილდენ, ახლა როდესაც ამიერ-კავკასიაში ეროვნული საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობს, როცა სოფლათ არ არის წესიერება და ხშირათ ავტორიტეტული მთავრობაც არ არსებობს, ხოლო ხალხისა და რევოლიუციის მტრებს არევ-დარევა შეაქვთ ხალხში, ჯოგების გადენა საბალახოებზე კიდევ უფრო გაართულებს ამიერ-კავკასიის სოფლის ცხოვრებას და დაღუპვის კარამდე მიიყვანს მას.

მოქალაქენო პირუტყვის მომშენებელნო და ყველა სოფლის მცხოვრებნო! თქვენზეა დამოკიდებული დაიცვათ წეს-რიგი საბალახოებზე ჯოგის გადენის დროს. თქვენი ხმა უნდა გაიგონონ უპირველეს ყოვლისა ეილაღების გაყოფის დროს პირუტყვის მომშენებელმა იმ სოფლელებმა, რომელთაც არ შეუძლიათ ბათუმის და ყარსის ოლქში გარეკონ თავიანთი ჯოგი და იძულებული არიან იმ ეილაღებით ისარგებლონ, რომლითაც ამდენ ხანს სხვა სოფლები სარგებლობდენ, ამიტომ იმედია სოფლების წარმომადგენელნი გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტებთან ერთად მშვიდობიანათ გადასწყვიტენ ამ საკითხს, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი ომით და შინაურ უბედურებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა. სოფლის წარმომადგენელნი და საადგილ მამულო კომიტეტები მართავენ თათბირს და ამ თათბირზე უნდა გადასწყვიტონ სად გარეკონ ჯოგი იმ სოფლელებმა, რომლებმაც ომის გამო დაჰკარგეს თავიანთი საბალახოები, ხოლო სხვა სოფლელებმა სტუმართმოყვარეობა უნდა გამოიჩინონ და ნება მისცენ განადგურებულ სოფლელებს ისარგებლონ მათი ეილაღებით.

ყველაზე მეტი სიფრთხილე, და სხვისი უფლების პატივისცემა უნდა გამოიჩინონ იმ სოფლის ჯოგის პატრონებმა, მწყემსებმა და სხვა მცხოვრებლებმა, სადაც ჯოგი უნდა გაატარონ ეილაღებზე გარეკის დროს, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებნი ერები უმეტესათ სომხები და თათრები ისე არიან დასახლებულნი, რომ ეილაღებზე გარეკის დროს მუსულმანებმა სომხების სოფლებზე უნდა გაატარონ ჯოგი, ხოლო სომხებმა და ქართველებმა, მუსულმანების, ნემცების და რუსების სოფლებზე. ხალხის მტრებს შეუძლიათ ისარგებლონ უკეთუ ჯოგის გატარების დროს მცირედი რამ ზიანი მიაყენეს სოფლელებს პირუტყვმა და ყანა გაუფუჭა ან სხვა და ეს შემთხვევა ისე ახსნან თითქოს ერთ ეროვნებას განგებ მიეყენებიოს ზარალი მეორესთვის და მით გამოიწვიონ ეროვნულ ნიადაგზე შეტაკება, რომელსაც შეუძლია საშიში ხასიათი მიიღოს და დიდი უბედურება მიაყენოს მცხოვრებთ. ვიზრუნოთ, რომ ეს არ მოხდეს ამიერ კავკასიის ერთა ძმურ ოჯახში. და რომ ეს არ მოხდეს, ამისსაჭიროა იმ სოფლებში, სადაც ჯოგი უნდა გაატარონ, ადგილობრივ საადგილ მამულო კომიტეტებმა და სადაც ის არ არის, აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეადგინონ საგანგებო მომრიგებელი კომისიები საადგილმამულო ან აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა სოფლის ავტორიტეტიან მცხოვრებთა და პირუტყვის მომშენებელთა წარმომადგენელთაგან; ამ კომისიებმა უნდა გაარჩიონ ყველა სადაო საკითხები, რომლებსაც ჯოგის გატარება გამოიწვევს, განსაზღვრონ ზარალის რაოდენობა და მიიღონ ყოველივე ზომები აუნაზღაურონ ზარალი დამნაშავეებმა.

აირჩიეთ კომისიებში ღირსეული და მართალი კაცები, რომლებსაც ყველა თქვენ გენდობით და შეგიძლიათ მიანდოთ თქვენი ინტერესების დაცვა.

ამიერ-კავკასიის პირუტყვის მომშენებელნო და სოფლის ყველა მცხოვრებნო! მთავრობა, რომელსაც თქვენმა არჩეულებმა მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი ჩააბარეს, რომლისთვისაც ერთგვარათ ძვირფასია ყველა ეროვნებათა ინტერესები, რომელიც არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ დაამყაროს ქვეყნათ მშვიდობიანობა და წეს რიგი, მოგმართავს თქვენ წინადადებით: მოიკრიბეთ ძალ-ღონე, მოუხმეთ თქვენ სიბრძნეს. დაიცვით სოფლათ მშვიდობიანობა, საშუალება მოუსპეთ ეროვნულ შეტაკების დაწყებას ჯოგის გარეკის დროს. უკეთუ თქვენ ზომებს მიიღებთ, რომ ჯოგმა გზათ ყანები არ გააფუჭოს, თქვენ დაიცავთ დათესილ მინდვრებს, უკეთუ ზომებს მიიღებთ, რომ ყანების გაფუჭების გამო შეტაკება არ მოხდეს, თქვენ ამით დაიცავთ თქვენ ჯოგს, რომელიც თქვენი კეთილდღეობის საფუძველია. უკეთუ თქვენ განადგურებულ სოფლების მცხოვრებთ ნებას მისცემთ ისარგებლონ თქვენი ეილაღებით და ხელს შეუწყობთ ამ ეილაღების სამართლიანად განაწილებას, ამით თქვენ იხსნით საბოლოოთ დაღუპვისაგან მთელ სოფლებს. სოფლად წესიერების დაცვით თქვენ იხსნით დაღუპვისგან თავისუფლებას და რევოლიუციის მონაპოვარს, რომელთაც ეხლა დიდი საფრთხე მოელის. ასეთ მეტათ მძიმე დროს მთავრობას თქვენი იმედი აქვს და ამ იმედით იკრებს ძალას გაატაროს ცხოვრებაში საჭირო რეფორმები მიწის შესახებ, გაამაგროს თავისუფლება და რევოლიუციის მიერ სხვა მონაპოვარი ამიერ კავკასიაში.

მიწათ მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

## მუშათა წერილები

**სადავო საკითხი.**

მას შემდეგ, რაც ამიერ კავკასიის საკანონმდებლო ორგანომ—სეიმმა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, პირველ რიგში დაისვა საკითხი, თუ როგორი ფორმა უნდა მიეცეს ამიერ-კავკასიის კონსტიტუციას.

ამ მიზნით მთავრობამ უკვე შეადგინა კომისია, რომელშიაც შედიან ყველა პოლიტიკურ პარტიათა და ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები. კომისიის მოვალეობაა გამოიმუშავოს კონსტიტუციის ძირითადი ფორმა და წარუდგინოს სეიმს განსახილველათ და საბოლოო დასამტკიცებლათ.

ამიერ-კავკასიაში მომქმედი ყველა ნაციონალისტური და ნაციონალური პარტიები ცდილობენ ეს მძიმე საკითხი თავთავიანთ კლასების სასარგებლოთ გადასჭრან. ნაციონალისტების მიზანია სხვადასხვა ეროვნების დემოკრატიის გათიშვა-განცალკევება, მათი ნაციონალურ დროშის ქვეშ დაყენება და მით თავიანთი საკუთარი, კლასიური ინტერესების დაცვა. ნაციონალისტებმა კარგათ იციან, რომ, რამდენათ სხვადასხვა ერის დემოკრატია ერთი მეორისაგან დაშორებულია, იმდენათ ამ დემოკრატიაზე გაბატონება მათთვის ადვილი საქმეა. ამიტომაცაა, რომ ისინი ყოველ გზა ჯვარედინზე ამ გათიშვა-განცალკევების საჭიროებას გაჰკივიან. მათი ასეთი პოლიტიკა დღეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მოევლინა ჩვენს დემოკრატიას.

კომისიის პირველ სხდომაზედვე, როგორც ანგარიშიდან სჩანს, ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთნი მოითხოვდენ ცენტრალიზაციას ფედერაციის სახით, ხოლო მეორენი ეროვნულ დანაწილებას კონფედერაციის სახით. ამასთანავე მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებს მოუთხოვიათ, რომ კონფედერაციის წევრს უფლება ჰქონდეს კონფედერაციიდან გამოსვლისა, თუ უთანხმოება მოხდა სხვა წევრ ეროვნებებთან. თუ რისთვის მოითხოვდენ მაჰმადიანთა წარმომადგენლები კონფედერაციიდან გასვლის უფლებას, ამაზე პასუხის გაცემა არც ისე ძნელია. ფედერაცია თუ კონფედერაცია ნიშნავს ეროვნებათა კავშირს, უკეთეს შემთხვევაში სხვადასხვა ეროვნებათა დემოკრატიის კავშირს და ერთობას. და აი, სწორეთ ამ კავშირს ვერ ურიგდებიან სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები და წინდაწინვე გარანტიას თხოულობენ, რომ უკეთუ ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის რაიმე უთანხმოება მოხდება, ხსენებული კავშირი დასტოვონ და ცალკე ერთეული დამოუკიდებელი სახელმწიფო მოაწყონ. ასეთი უთანხმოება ბევრ სოციალურ და პოლიტიკურ კითხვაშია მოსალოდნელი ამიერ-კავკასიის მომავალ პარლამენტში, რადგანაც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დიდი ნაწილი ისეთ ნაციონალურ პარტიებს მიყვებიან, რომელთაც დემოკრატიის ინტერესები ძალიან ნაკლებათ აინტერესებს. პირიქით, ამ დემოკრატიაზე ბატონობით ამაგრებენ თავიანთ მდგომარეობას. მათ კარგათ იციან, რომ მათი ბატონობა დროებითია დემოკრატიაზე, თუ ისინი მჭიდრო კავშირში დარჩებიან ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და ამიტომაც წინდა-

წინვე იკვეთებენ საქმეს, რომ მოხერხებულ დროს დემოკრატია დემოკრატიას ჩამოაშორონ, მათში სიძულვილი და შუღლი გააჩეფონ და ამ გზით თავიანთი ბატონობა გაახანგრძლივონ.

ხსენებულმა საკითხმა საქართველოს ეროვნულ საბჭოშიც დიდი კამათი გამოიწვია, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა. აქ უკვე სამმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პროექტი წარუდგინა საბჭოს, რომელშიაც მოითხოვს ამიერ-კავკასიის ფედერატიულად მოწყობას. ამ პროექტით უნდა არსებობდეს ამიერ-კავკასიის პარლამენტი ყველა ერის მიერ არჩეული და ერთი მისი აღმასრულებელი ორგანო—სამინისტრო, ანუ საბჭო. ამ საერთო ცენტრალურ ორგანოების ხელში უნდა იყოს ყველა მთავარი სახელმწიფოებრივი საკითხები, როგორიცაა მაგალითად: საგარეო, სამხედრო, საფინანსო, საბაჟო, სამოქალაქო სამართლის ნაწილი, სავაჭრო უფლება, საერთო რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, შრომის დაცვა და სხ.

სოც.-ფედერალისტები, „ალიონის" ჯგუფი და სოციალისტ-რევოლიუციონერები მოითხოვენ კონფედერაციას, ხოლო ნაციონალ-დემოკრატები ამიერ-კავკასიიდან საქართველოს გამოყოფას და ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოთ მოწყობას. მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რომელი პარტია რით ხელმძღვანელობდა, როდესაც ასეთ პროექტებს უდგენდა განსახილველად და დასამტკიცებლად ეროვნულ საბჭოს. სოციალ დემოკრატიის მიზანი იყო და არის ერების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირება, რომ ამ გზით ხელი შეუწყოს ეკონომიურ აღორძინებას, ამის განხორციელებას კი შესძლებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს იმ ფორმით მოწყობა, რომელსაც აყენებს, სოციალ-დემოკრატია. მეორეს მხრით ეს საუკეთესო გარანტია იქნება ამიერ-კავკასიის დემოკრატიაში სოლიდარობის განსამტკიცებლად.

სოც.-ფედერალისტების პროექტით კი ეს კავშირი ნახევრად სუსტდება და რამდენად ამიერ-კავკასიის ერები ცალკე დამოუკიდებლად გადასჭრიან ამა თუ იმ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, იმდენად დემოკრატია ერთი მეორეს დაცილდება და სოლიდარობაც უფრო ადვილათ დაირღვევა.

ნაციონალ-დემოკრატების პროექტის მავნებლობაზე დემოკრატიისთვის ლაპარაკიც მეტია. არავისთვის საეჭვო არ არის ის ჭეშმარიტება, რომ საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია და დღეს თუ არა, ხვალ რომელიმე დიდ სახელმწიფოს უნდა შეაფაროს თავი, როგორც ეს მოიმოქმედა ერეკლე მეფემ, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთა. და ამ შეერთების ნაყოფი დიდი ხანია ვიგემეთ.

ას ჩვიდმეტი წლიწადი გვიდგა მძიმე უღელი რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებთან ერთად და თუ თვით რუსის დემოკრატია მთავრობის მიერ შევიწროვებული იყო პოლიტიკურად და ეკონომიურად, ჩვენთვის ამას ზედ ერთოდა ეროვნული შევიწროებაც. თუმა არ უნდა ამასვე გაიმეორებს ის ჩვენი მომავალი „მფარველი" სახელმწიფოც, რომელსაც ნაციონალ-დემოკრატები გვიჩეჩებენ. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ეს „მფარველობაც" დემოკრატიას მოუტანს ყველაზე მეტ ზიანს და არა ნაციონალ-დემოკრატების პარტიას, ქართველი დემოკრატია მათ ნაჩვენებ გზას ვერ გაჰყვება. ქართველ დემოკრატიის ორიენტაცია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მჭიდროთ დაკავშირება და სოლიდარული მუშაობა, ამაში ხედავს ის ხსნას. და სწორეთ ამ მიზნით წამოაყენა სოციალ-დემოკრატიამ, როგორც მასის ნების გამომხატველმა პარტიამ ხსენებული პროექტი, რომელიც ამ კავშირის და ერთობის განმტკიცებისთვის საუკეთესო საშვალებაა. სოც. დემოკრატია მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცავს და შეეცდება გაატაროს ცხოვრებაში ხსენებული პროექტი, მთელი შეგნებული დემოკრატია მხარს დაუჭერს მას.

ს. ელიაძე.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

**13 მაისი.**

**თფილისი.** „აღმოსავლეთ ფრონტის გერმანიის ჯარების მთავარსარდალი რადიო-დეპეშით 11 მაისის თარიღით მოითხოვს შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლში დაუყოვნებლივ დაბრუნებას. თავის მოთხოვნას ის იმით ასაბუთებს, რომ შავი ზღვის ფლოტმა არა ერთხელ მიიღო მონაწილეობა გერმანელების ჯარებთან ბრძოლაში უკრაინაში. ამასთანავე ის დასძენს, რომ უკეთუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, იძულებული ვიქნები განვაგრძო შეტევაო". რუსეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამის გამო პროტესტს აცხადებს, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება ბრესტის ხელშეკრულებას. შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლში დაბრუნება ფაქტიურად ამ ფლოტის კაპიტულიაცია იქნებაო. გერმანიის ჯარების უფროსის რადიო დაიჭირა მოსკოვის რადიო სადგურმა.

**კონსტანტინოპოლი.** პალესტინის ფრონტი. ერუსალიმ ნაბლუსის გზის ახლო ჩვენ ხელში ჩავიგდეთ მტრის პოზიცია. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა მოკლული 1 აფიცერი და 31 ჯარისკაცი. ხელში ჩაგვივარდა ერთი ტყვიის მფრქვეველი.

**ბერლინი.** კემისლის რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. ალბერტის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისელებმა შემოგვიტიეს, მაგრამ მოვიგერიეთ.

**პარიჟი.** მთელ ფრონტზე არავითარი მნიშვნელოვანი მოქმედება არ მომხდარა მთელი დღე ღამის განმავლობაში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ამხ. ლ. მარტოვის საქმე**

ამას წინეთ ლ. მარტოვის წერილიდან ამიერ-კავკასიის შესახებ ჩვენს გაზეთში ზოგიერთი ადგილები იყო მოყვანილი.

თავის წერილში მარტოვი სხვათა შორის სახალხო კომისარ სტალინ ჯუღაშვილს ეხებოდა, რომ სტალინს ამიერ-კავკასიაში ექსებში მონაწილეობისთვის ორგანიზაციიდან გაძევება ჰქონდა გადაწყვეტილი და სხ.

კომისარ სტალინ-ჯუღაშვილს ეს დამტკიცებული ბრალდება ცილის წამებათ მიუღია და სამართალში მიუცია არა თუ მარტო წერილის ავტორი, ლ. მარტოვი, არამედ—მთელი გაზეთის—„ვპერიოდ"-ის სარედაქციო კოლეგია—დანი, სემიონოვიჩი და კაპლანი.

გაზეთი „ვპერიოდ"-ი ამ საქმეს უწოდებს რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიის წინააღმდეგ გამოსვლას.

თვით მარტოვის განცხადება, რომელიც მან მოსკოვის რევოლიუც. ტრიბუნალს წარუდგინა ასეთია: „მას შემდეგ, რაც ბეჭვდითი საქმის რევოლიუციონური ტრიბუნალი გაუქმდა საგანგებო დეკრეტით, ბ. სტალინის მიერ ჩემს წინააღმდეგ აღძრული საქმე, გადავიდა მოსკოვის რევოლიუციონურ ტრიბუნალში, რომლის საგამომძიებლო კომისიამ დამიბარა და ჩვენება ჩამომართვა. ჩემი საქმის დაწყებისთანავე აწ გაუქმებულ ტრიბუნალში მე აღვნიშნე იმ ელემენტალური წესების დარღვევა, რომელთა დაცვა სავალდებულო უნდა ყოფილიყო უპირველესად თვით ტრიბუნალის წევრთათვის...

ახლა, როგორც სჩანს, კერძო საჩივრის სახით აღძრული საქმე ბ. სტალინის მიერ გადაეცა მოსკოვის რევოლიუციონურ ტრიბუნალს, რომელმაც ტრიბუნალმა „მოსკოვის საბჭოთა უწყებების" მეორმოცე ნომერში მოთავსებული დეკრეტის თანახმად უნდა გაარჩიოს ისეთი საქმეები, რომელებიც პრესის საშუალებით მიმართული იქნება ხალხის, „მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობათ", დანაშაულობანი ხალხის ან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულნი...

მოქალაქე სტალინი არ შეიძლება მივიღოთ რუსეთის ხალხათ ან სახელმწიფოთ, რომ სტალინის შეურაცყოფა არ შეიძლება დეკრეტში ჩამოთვლილ დანაშაულობებს შეუთანაბროთ, მე პროტესტს ვაცხადებ იმის გამო, რომ ასეთი წესი საბჭოს რესპუბლიკაში ბატონ კომისარებისთვის ახალ უპირატესობას აწესებს—იქ გაგასამართლონ, სადაც მათ მოეპრიანებათ... ამიტომ მე მოვითხოვ, რათა ჩემი საქმე მოისპოს მოსკოვის რევოლიუციონურ ტრიბუნალში და საჩივარი დაუბრუნდეს მოქალაქე სტალინს, რომელიც მას შეუძლია აღძრას ადგილობრივ სახალხო სასამართლოში".

ამ განცხადებას ამხ. ლ. მარტოვი 14 აპრილის „ვპერიოდ"-ში შემდეგს დასძენს: „ჩემ მიერ აღძრულ საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რა გვარ წესწყობილებაში ვცხოვრობთ? რესპუბლიკაში, სადაც **ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან** და თანამდებობის პირნი, როგორც ხალხის მსახურ-ნოქარნი დაცულნი არიან იმავ სასამართლოთი, რითაც „უბრალო მომაკვდავნი", თუ **მონარქიაა,** სადაც მონარქის და მისი წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გასარჩევათ ერთი სასამართლოა, ხოლო დანარჩენ მცხოვრებთათვის—მეორე. რევოლიუციონური ტრიბუნალი, როგორც ბოლშევიკ. დეკრეტი გვაუწყებს, არჩევს „ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს". როგორ შეიძლება სტალინის შეურაცყოფა ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათ ჩაითვალოს? ეს შეიძლება ვიფიქროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ვიტყვით, რომ სტალინი ხალხია. მეჩვიდმეტე საუკუნეში საფრანგეთის თავ ქარიანი მეფე ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს უყვარდა ლაპარაკი—„სახელმწიფო მე ვარო" ő ამ მოსაზრებით თავის ჯიბეს ხაზინისგან არ ანსხვავებდა. საკითხს მე იმიტომ ვაყენებ, თუ ვინ უნდა გაარჩიოს ეს საქმე, რომ მუშათა კლასს გარკვევით და აშკარათ გაეცეს პასუხი—მართალია ხალხს წარმოადგენენ ლენინი, ტროცკი, სტალინი და ძმანი მათნი ან სახელმწიფოს, რომ ყოველი შეურაცყოფა რომელიმე ამათგანისთვის მიყენებული მართლა სახელმწიფოებრივი დანაშაულია?

დეე პასუხი გაგვცეს ბოლშევიკების უმაღლესმა სასამართლომ და მაშინ ჩვენ საბოლოოდ გვეცოდინება, რომ ამ ჟამად ჩვენ ჭეშმარიტად **მრავალთავიანი მონარქია** გვაქვს წყობილებათ".

ნიკოლოზ მეორის პირველი კაცი, სტოლიპინი, ამბობდა: თუ ოპოზიციას სახელმწიფო დუმაში ჩვენს წინააღმდეგ „რეჩები" ექნება, ჩვენ მათ წინააღმდეგ ზარბაზნები გვექნება და, აბა, რას დაგვაკლებენო.

ვლადიმერ პირველის (ლენინის) პირველი კაცი—ი. სტალინ ჯუღაშვილიც ასევე იტყვის: უკეთუ მარტოვს ჩემს წინააღმდეგ შეურყეველი „საბუთები" ექნება, მე მის წინააღმდეგ თოფ-ხიშტი-ტყვია-წამალი ბევრი მაქვსო...

რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა, ღარიბეს გლეხთა თუ „ბატრაკთა" სახელით ბოლშევიკები განზრახვას სისრულეში მოიყვანენ!..

# ახალი ამბები

✦ **კავკასიის ფრონტი.** (ოფიციალური ცნობა). 13 მაისის თარიღით მიღებული მოხსენების თანახმად კავკასიის ფრონტზე დროებითი შერიგება არ დარღვეულა.

**გურულების კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბის სადგომში გაიმართება დაზარალებულ გურულების დამხმარე საზოგადოების კრება. განსახილველი საგნებია: მოხსენება გურიის მდგომარეობის შესახებ; კომიტეტის ანგარიში; წყაროს გამონახვა. კომიტეტი სთხოვს ყველას უეჭველათ დაესწროს კრებას.

✦ **ოსმალეთის სომეხთა** დელეგატების ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. ყრილობამ მთელი რიგი დადგენილებისა გამოიტანა, რაიც შეეხებიან ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხების მდგომარეობას, რომლებიც ამ ჟამათ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის საზღვრებში ცხოვრობენ. სომხების ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა: ნება არ დართოს გამოქცეულ სომხებს ჩრდილო კავკასიაში წასვლისა შავი ზღვის ნავთსადგურებიდან ან საქართველოს სამხედრო გზით.

✦ **ოსმალეთის ჯარების** ოზურგეთის კომენდანტისაგან ქუთაისის საგუბერნიო კომისარს შემდეგი დეპეშა მიუღია: „სამხედრო ხასიათის მიზეზების გამო ჩვენ მოვალენი ვართ აღვკრძალოთ დელაგაციის მიერ ოზურგეთის დათვალიერება. დედაკაცებს და ბავშვებს შეუძლიათ ოზურგეთში დაბრუნება, ოჯახობა და თავიანთი ქონებისათვის თვალყურის დევნება იმ პირობით, რომ უკან დაბრუნებაც შეეძლებათ. სიცოცხლე და ქონება ყველასი უზრუნველყოფილია. სასალდათო ხნოვანობის პირთა ოზურგეთში შესვლა სასტიკად აკრძალულია. დაკარგული ნივთები მონახულ იქნება და პატრონთ დაუბრუნდება". კომისარი ამასთან ერთად ატყობინებს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ოზურგეთი სრულიად განადგურებულია, სავაჭრო დაწესებულებები გაძარცულია და მცხოვრებნი შიმშილობენო.

✦ **ქალაქის სესხი და გადასახადები.** ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს 25 მილიონი მანეთი სესხი აიღოს. სესხის განაღდებას კისრულობენ ადგილობრივი ბანკები და ზოგიერთი კაპიტალისტები. უკანასკნელ ხანებში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ მიღებული სასტიკი ზომების წყალობით, გადასახადები ბლომათ შეაქვთ ქალაქის კასაში. ვინც წესიერათ არ იხდის გადასახადს, ადგენენ ასეთი პირების სიებს მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოში წარსადგენათ.

✦ **რკინის გზის მოსამსახურეთა** მთავარმა კომიტეტმა განმარტა, რომ ყოველგვარი დანიშვნა თუ გადაყვანა რკინის გზაზე აგენტებისა ხდება რკინის გზის ადმინისტრაციის მიერ რკინის გზის კომიტეტთან შეთანხმებით. რკინის გზის საქმეებში სხვა ორგანიზაციების ჩარევა დასაშვები არ არისო.

✦ **საუბნო სასურსათო კომიტეტები.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა საუბნო სასურსათო კომიტეტების დებულება. ქალაქში არსდება 12 კომიტეტი, თითოში 15 კაცი იქნება: 3 კოოპერატივებიდან, 6 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან და 6 მოქალაქეთა ორგანიზაციისაგან.

✦ **სახლის კომიტეტები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა სახლის კომიტეტების გარეშე არავის არ მისცეს პური და სხვა სანოვაგე, გამონაკლისს შეადგენენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

✦ **გზათა მინისტრს** დაევალა გადაშინჯოს და შეიმუშავოს რკინის გზის ეხლანდელი ტარიფი. განზრახულია ფუფუნების საგნების გადაზიდვა გააძვირონ.

✦ **მთავრობამ დაადგინა:** ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშებს მიეცეთ ჯამაგირი 1 აპრილამდე. დანარჩენი მათი მოთხოვნილება ყურადღებოთ იქნა დატოვებული. ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლათ დაინიშნა გენერალ-მაიორი კვინიტაძე. მთავრობის სხდომა კვირაში სამჯერ მოხდება: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

✦ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა საბურთალოს კომისარი იოსებ ლაფაჩიძე, მისი მწერალი მაჩაიძე, წითელგვარდიელი პრიაძელი, მილიციელი სუმბათ და ბელი-ოღლი და მოქ. ი. გაბრიშვილი, შოფერთა კავშირის თავმჯდომარის ფულის დატყუებისა და თვითგასამართლებისთვის. მათ აღმოაჩნდათ ქურდების იარაღი, 30 პასპორტის ბლანკები, 10 ვინტოვკა, 5 რევოლვერი და ტყვიები.

✦ **ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის** კომისია უმორჩილესათ სთხოვს ყველა სათნოების დას და ფერშალ ქალს, რომელიც არის ჩაწერილი რაზმში, გამოცხადდეს ქ-ნ თარხნიშვილთან, რადგანაც ბევრი მათგანი უკვე დანიშნულები არიან ლაზარეთებში გაბაევის შესახვევი № 3.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს, სახ. სახლთან არსებულ ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „მელანიას ოინები". დასაწყისი საღამოს რვა საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ **ახალი წიგნები.** კანტორა „განათლება" პეტროგრადიდან მიიღო რუსულ ენაზე შემდეგი წიგნები: საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია ბლოსისა, პარიზის კომუნის სახალხო ისტორია არტურ არნუსი, სოციალიზმი და სახელმწიფო წარმოება ჟიულ გედისა, და სოციალური რევოლიუცია კაუტსკისა.

✦ **დავკარგე** ვინაობის დამამტკიცებელი მოწმობა ქართული საპორის ბათალიონის მიერ გამოცემული (№ 109), რომელიც სხვის ხელში ჰკარგავს თავის ძალას. ილიკო ნიკ. მეგრელიშვილი.

**კრებები და მიტინგები.**

კვირას, 19 მაისს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბში (მიხაილოვის ქუჩა № 65, კარაპეტიანცის ბაღი), შესდგება წლიური საზოგადო კრება სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრების. სთხოვენ ამხანაგ წევრებს უეჭველათ დაესწრან კრებას და თან იქონიონ საწევრო ბარათები.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ცენტრის ბინაზე (სასახლის ოთახი № 12) დანიშნულია კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა. ვინაიდან საყურადღებო კითხვებია განსახილველი, ამხ. წევრებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

# პროვინციის ქრონიკა

**სად. კარაკლისი** (ყარსის გზა). 8 მაისს ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაიმართა საერთო კრება. ხალხი ბლომათ დაესწრო.

კრებას დაესწრო ამხ. ლ. ელბაქიანი, რომელმაც ვრცლათ გააცნო დამსწრეთ დღევანდელი მდგომარეობის სიმძიმე, აუხსნა ომის, ზავის საკითხები, დამოუკიდებლობის და თავდაცვის აუცილებლობა და მოუწოდა დამსწრეთ ხელი შეუწყონ ამიერ-კავკასიის მთლიანობას, გააძლიერონ თავ-დაცვაზე ზრუნვა და იარაღით ხელში დაიცონ რევოლიუცია, სამშობლო და გაადვილონ ზავის პირობები.

**ხონი.** იარაღის ჩამორთმევა სასურველათ მიდის. დავაპატიმრეთ საეჭვო პირები. რაზმს კარგათ უჭირავს თავი. იმედი მაქვს საქმეს მალე დავასრულებ.

მთელმა დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ექსცესებს ადგილი არ ქონია. ჯერჯერობით შეკრებილია ასზედ მეტი ვინტოვკა და რამდენიმე რევოლვერი. მცხოვრებნი განაგრძობენ იარაღის მოტანას. საუცხოვო წესიერებაა. ქალაქში და მის რაიონებში ძალა-უფლება რაზმის შტაბის ხელშია. დავაპატიმრეთ რამდენიმე საეჭვო პირი. სწარმოებს გამოძიება ამას წინათ მილიციის უფროსის კანცელიარიიდან და რაიონის კომ. იარაღის გატაცების გამო. დარწმუნებული ვარ არავითარ ექსცესებს ადგილი არ ექნება და იარაღების ჩამორთმევაც ჩქარი ნაბიჯით წავა. მფრინავი რაზმის ხელმძღვანელი, შტაბს-კაპიტანი **ლლონტი.** (ს. დ.).

**ქუთაისი.** 10 მაისს შესდგა ქალაქის გამგეობის კრება. დადგენილ იქნა—წინადადება მიეცეს ქალაქის მმართველობის ყველა დაწესებულებებს შემოიღონ საქმის წარმოება ქართულ ენაზე. ამავე კრებაზე აირჩიეს ერთი წარმომადგენელი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ქართველ მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს წევრად.

— ქალაქის სასურსათო კომიტეტს ამ ჟამათ დამზადებული აქვს დიდძალი წუღები. სასურსათო საქმეების ლიკვიდაციის გამო ეს წუღები დაკლებულ ფასებში იყიდება. ყიდვა შეუძლია, როგორც კერძო პირებს, ისე კოოპერატივებს და ორგანიზაციებს,

— მეღვინეობის და მებაღეობის კომიტეტმა შაბიამანი დაურიგა სოფლის კოოპერატივებს, რომელმაც უნდა გაანაწილოს სოფლის მცხოვრებთა შორის.

— იმერეთში ამ ჟამად დამზადებულია დიდძალი მოცვის ჩაი. ჩაი უგზოობის გამო არ იყიდება. შარშანდელი ჩაი კი უკანასკნელ დროს ფუთი 300 მან. იყიდება.

— ქუთ. სამაზრო საადგილ-მამულო მიმღებმა კომისიამ ჩაიბარა ბაინდუროვის და მიზანდაროვის მამული ბანოჯის რაიონში.

— ვარციხის აგარაკში ბორ ტგამზრახველები (ბოლშ. ჯ.-კაცები) თავს დაესხენ საგლეხო ბანკის ყოფილ მელმანის სასახლეს, გასტეხეს კარები და დაამტვრიეს სახლის ავეჯეულობა. ეს მამული ჩაბარებული ქონდა საოლქო მიწების კომისიას.

— აჯამეთელ ანანოვის მამული საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობის განსაკუთრებულმა კომისიამ სცნო სახალხო მეურნეობის სიმდიდრეთ. მას სრულიად ჩაიბარებს საგუბ. გამგეობა.

— ქუთაისის სამაზრო ერობის საარჩევნო კომისია აცხადებს პარტიებს და ამომრჩეველთა საყურადღებოთ, რომ დროზე წარმოადგინონ საარჩევნო სიები, რათა არჩევნებს უკვე უდგებით.

# დაეხმარეთ ჩვენს მეომრებს

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე ჩვენი ღირსებისა და თავისუფლების დარაჯებად სდგანან მტრის წინაშე ფრონტზე ჩვენი მეომრები. ითმენენ სანგრებში აუტანელ გაჭირვებას, ხშირად შიმშილსა და წყურვილს, ავდარს, ომიანობის მთელ სიმძიმეს.

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი მისი დამცველების ხელშია. თუ მოუხდა იმათ ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ბედნიერების დასაცველად, იმათი ძალა—ჩვენი დამხსნელი ძალა იქნება. იმათი უძლურება და დამარცხება ჩვენი და ჩვენი შვილების დაცირება და მონობა არის. თუ ომი არ დაგვეჭირდა, მით უფრო მეტს ანგარიშს გაგვიწევენ ჩვენ სხვა ხალხი და სახელმწიფოები, რამდენადაც მეტი ძალა და ბრძოლის უნარი ექნება ფრონტზე ჩვენ მეომრებს.

ქალებო-მოქალაქენო, ჯარის ძალა მარტო თოფი და იარაღი არ არის. მაშინ არის ძლიერი ჯარისკაცი, როცა მას სიკვდილის არ ეშინია, როცა მისი საჭიროება უზრუნველყოფილია. მაშინ გმირულათ მიიწევს იგი მტრისაკენ, როცა გრძნობს, რომ თავის სამშობლოს უყვარს იგი, რომ მშრომელი ხალხი აფასებს იმის ღვაწლს, როცა დარწმუნებულია, რომ ის არ არის უყურადღებოდ მიტოვებული და დავიწყებული თავის მოძმეთა მიერ.

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენმა დედებმა იცოდნენ მეომრების გამხნევება, როცა ისინი თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის, მაშ ჩვენც დავამტკიცოთ, რომ ჩვენ დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავლობა ვართ.

ჩვენ უნდა მთელი ჩვენი შეერთებული ძალღონით ვეცადოთ, რომ ფრონტს მივაწოდოთ ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა. ჩვენ უნდა მივსცეთ სანგრებში ჯარისკაცს ყველაფერი, რაც შეამსუბუქებს მას მძიმე ცხოვრებას. ფრონტიდან ისმის ძახილი, მოქალაქენო, ნუ თუ ჩვენ, თქვენი დამცველები დავიწყებულნი ვართ! იმათ არა აქვთ პაპიროსები, არა აქვთ ასანთი, რომ ანთებულ პაპიროსით მაინც გათბენ ნესტიან სანგრებში. არა აქვთ ძაფი, რომ დააკერონ დაგლეჯილი ტანისამოსი, არა აქვთ არაფერი ისეთი საჭმელი, რაც ცოტათი მაინც შნოს მისცემს იმათ ღარიბულ კერძს. არა აქვთ არც ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომ მძიმე წუთებში მუსიკამ მაინც შესძინოს მხნეობა.

ქალებო მოქალაქენო, ნუ თუ ჩვენ დავივიწყებთ იმათ, ვისაც წილათ ხვდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება. შესწირეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, შეაგროვეთ ყოველნაირი შემოწირულება თქვენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობ შორის. გადაეცით ყველა ეს იმ ქალთა წრეს, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული დახმარება აღმოუჩინოს ფრონტზე ჩვენ ჯარისკაცებს. ყველა თქვენი შემოწირულება დაუყონებლივ გაეგზავნება იმათ, ვინც ჩვენ სამშობლო მიწას იცავს.

ჩვენი მეომრები სანგრებში, როცა ჩვენ სიყვარულსა და ყურადღებას დაინახავენ უეჭველათ იტყვიან: ჩვენ დავიწყებულნი არა ვართ, ჩვენ ვუყვარვართ ერს და ეს სიყვარული მხნეობას შემატებს მათ ბრძოლაში, მისცემს ძალას აიტანონ ბრძოლის ასპარეზზე ყოველნაირი გაჭირვება.

შემოწირულება ნივთებისა: ძაფი, ნემსი, საპონი, ნამცხვრები, კონსერვები, სუხარი, გალეტი, ასანთი, პაპიროსი თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ფული, გიტარა, ჰარმონი, ჩონგური, დაირა, ფანქრები, ფოსტის ქაღალდი და სხ. და სხ. მიიღება ქალთა წრის წევრებთან.

ნინო ნიკოლოზის ასულ გაბაშვილთან კობის ქ. № 11.

მაკრინე სიმონის ასულ ჩხენკელთან სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი".

მარიამ ქაიხოსროს ასულ რამიშვილთან; კიროჩნი ქ. № 48.

ანნა ივანეს ასულ ხომერიკთან, მატ ნოვის ქ. № 25.

ნინო ნაკაშიძესთან „ნაკადულის" რედაქციაში დავითის ქ. № 2.

# გზა და გზა

**მ უ რ ი ა ლ ი.**

IV

ბახვიდან შემოქმედისაკენ გავემგზავრეთ. პირველად ლიხაურის რაზმი ვნახეთ. იქ იყვნენ ძველი ამხანაგები, სრულიათ სახე გამოცვლილნი.

რაზმის წევრები ამაყურათ გამოიყურებოდენ, მათ არ ეტყობოდათ სასოწარკვეთილება და დაღლა. რაზმში ახალგაზდაც იყო და მოხუციც, ჩვენს მისვლისას ისინი ჯარს შემოგვერტყენ, დასხდენ...

— აჰა მარგუნა ბედმა. შვიდი წელია თოფი მიჭერია ხელში. ვფიქრობდი მშვიდობიან ცხოვრებას და მაინც ვერ მოვესწარი.—მითხრა ერთმა ამხანაგმა.

მართლაც იქ იყვნენ ამხანაგები, ამხანაგები

საქმის, ამხანაგები ხანგრძლივ ბრძოლაში გამოწრთობილნი.

ასეთია ცხოვრების დაუნდობელი კანონი! ჰათ მოისმინეს მოხსენება, მადლობა გვითხრეს, ნდობა გამოგვიცხადეს, სთქვეს: „არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ბოროტი ენები სწამლავენ ატმოსფერასო“.

ბახვიდან დაწყებული სოფლები ცარიელია, შკოლებში ჯარებია, აქაც იგივე სანახაობაა — მუშაობა ყველგან შეწყვეტილია.

იქ, სადაც წინეთ ცხოვრება საზოგადოებრივ ჩარჩოებში სდუღდა და წინ მიიწევდა პროგრესისაკენ, ეხლა უკან დაწეულა და ჩვენი ალორძინებული სოფლები ამ ჟამათ ომის ბარბაროსული მდგომარეობაში ჩავარდნილა.

— ბევრი ამხანაგები დავკარგეთ, ბევრი შეგნებული პირები დაიღუპა; — გვითხრა ამხ. თ. მუხაშარიამ, რომელიც იბრძოდა ბათუმში აჭარის წყალთან, რომელიც შემდეგ იბრძოდა ოზურგეთში და რომლის მოქმედება ამ მხრით ალსანიშნავია.

— ბევრი დავკარგეთ. ვსთქვით ჩვენ.

ჩვენს შეკითხვაზე მან ბევრი პირები დაასახელა და სთქვა:

— დათიკო ვანიძეც იქ დაიღუპა. ახალგაზრდა დათიკო, ძლიერ მხნეთ და მარჯვეთ იქცეოდა, დღიან-ღამიანებ არ ეძინა, ყველას გვეხმარებოდა, თავგანწირვით დარბოდა, მან შიში არ იცოდა და ვაჟკაცურათ გაათავა თავის სიცოცხლე. ძლიერ გვაღონებს მისი სიკვდილიო, დაათავა მან.

ვინ იცის, ბევრი ახალგაზრდა ამხანაგები მოგვწყვიტა და კიდევ რამდენს მიიღებს ომის გაუმაძღარი მადა.

№-ს ზევით ჯარის ნაწილებში მივედით. აქ გაიმართა კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება და იქაც ისეთივე შთაბეჭდილება მივიღეთ, როგორც ლიხაურის რაზმში.

სალამოს ოთხი საათა იყო, როცა შემოქმედში მივედით. მთელი შემოქმედი ჯარითაა გავსილი. აქ უიარაღოს ვერ ვხედავთ. სოფელი სრულიად დაცლილია. ყველაფერი არეულ-დარეულია ამ მხრით, ჯარისკაცთა განწყობილება კარგია. ფხიზლათ გამოიყურებიან. აქ არის ერთი პარტია მზვერავთა. მათ მოგვითხრეს ძარცვა-გლეჯის შესახებ.

ყოველივე ამ შთაბეჭდილებას სამგლოვიარო ბეჭედი დაესვა. კუბო მოასვენეს, იქვე მიწაზე დუქნების წინ დასდეს, სახე გაკაწრული, თმებგაშლილი დედის გიჟური კივილი ისმის. სამგლოვიარო სურათია, სალამოც მოწყენილია, მონასტრის მაღლობები თავს დაღვრემილი დაგვცქერის. ახმაურებული მიდამო მიწყნარდა, სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა, იქაქ ქვითინი გაისმა.

ჩვენ დაფიქრებული მივედით ცხედართან.

მე განცვიფრებული დავრჩი. წინა დღით ეგ ცხედარი ბახვში გამოატარეს, მაშინ მე ვერ გადმომცეს კარგათ, ვინ იყო. მე ცრემლები მომერია. ჩემს წინ სახე შემკრთალი სდგას ნახუცი ისიდორე: კუბოს ზედა პირი აალეს.

მოვალეობის მსხვერპლი, ბრძოლაში დაღუპული, — ჩვენი ამხანაგი, ახალგაზრდა მებრძოლი, გურიის საგანგებო რაზმის წევრი პრაპ. პ. ჭანუყვაძე, ოდესმე მომღიმარი, სიცოცხლით და ენერგიით გატაცებული, სამუდამოთ დადუმებულა, ჭრილობისაგან სისხლდაცლილი, დამდნარი, უბრალო კუბოშია ამ ქვეყანაში ვალ-მოხდილი. უდროოთ, მტრის ტყვიით განგმირული...

კუბოს თავს დასცქერის ჩვენი ძველი მებრძოლი იესე, მამა დაღუპულ მებრძოლის, ამხანაგი ჩვენი, ხალხისთვის თავგანწირული...

— მშვიდობით, შვილო!.. მშვიდობით, ჩემო პახუნა! — გაისმის მამის ხმა.

ცრემლი და კვნესა ირგვლივ...

ვინ ასვენია ჩვენ წინ?..

მებრძოლი...

მან ჩვენთან დასდო ფიცი... გაეშურა თფილისში.. მან ახალგაზრდობა შესწირა ჩვენს საერთო საქმეს...

ის იქ ასვენია ეხლა, საიდანაც ჩვენთან წამოვიდა საბრძოლველათ, გასწირა ნორჩი სიცოცხლე და მიეშურება უკანასკნელათ მშობლიურ მხარეში — ცივ სამარეში...

— მაპატიე, ახალგაზდავ, მაპატიე მე... მე თქვენ... — საშინლათ დამირბინა გულში ამ სიტყვებმა...

— შენ მოიხადე ისტორიის წინაშე ვალი, შენ დაამტკიცე ქვეყნის წინაშე, რას ნიშნავს თავისუფლება, ბრძოლა, თავ-განწირვა, მებრძოლო, შენ შექმენ დიადი ისტორია და მიდიხარ...

მშვიდობით!

იყო უკანასკნელი სიტყვა ისიდორესი და ჩან მუხლ-მოდრეკით გადაკოცნა ჩვენი ძვირფასი... ჩვენი მებრძოლი. რომელმაც ნატანების გმირულ ბრძოლაში გმირულათ უარყო თავი...

„თქვენი განწირული თავი, ჩვენ გვიმტკიცებს, როგორ უნდა ვიბრძოლოთ“...

ხალხში ცრემლ-მორეული ქვითინი გაისმის.

სამგლოვიარო პროცესი შეჩერდა დროებით. იქვე კრება იხსნება. ჩვენი მასწავლებელი ის. რამიშვილი მოხსენებას-აკეთებს. ხალხი ისმენს...

„ჩვენ დაშარცხებასთან ერთათ განმარჯვებაც შეგვიძლია. ჩვენმა მებრძოლმა გმირებმა დაამტკიცეს ეგ ნატანების ისტორიულ ომში. ჯავშნიან მატარებლის რაზმმა ვალოდია გოგვაძის მეთაურობით და რამოდენიმე ასეულმა წითელმა გვარდიელმა საგანგებო რაზმთან ერთად სასტიკათ დაამარცხეს ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი, ათასზე მეტი დახოცილი დასტოვეს ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეებმა და ნიშანია იმისა, რომ გაწვრთნილ მებრძოლთ შეეძლებიათ თავისუფლების და ქვეყნის დაცვა“.

„ჰკითხეთ და შეისწავლეთ თქვენს წინაშე მდებარე მებრძოლი პ. ჭანუყვაძის ცხედარისაგან, თუ როგორ შეიძლება ქვეყნისათვის ბრძოლა და თავგანწირვა“. — იყო უკანასკნელი სიტყვა..

კრება გათავდა. სალამომ უფრო მოიწყინა. უბრალო კუბო უბრალოთ წაასვენეს მეგობრებმა სასაფლაოსკენ... ჩვენ კი დაღონებული გავსწიეთ დანიშნულებისაკენ.

შემოქმედში მცხოვრებნი დახიზნულა. ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, იარაღში ჩამსხდარა, ბრძოლის ველზეა. შიმშილს ფირთოდ გაუშლია ფრთები და გვიხსნიდენ: გვიშველეთ, ხალხი ამ ერთ კვირაში უსიმინდოთ დარჩებაო. ღამე იყო, როცა ერთ ადგილზე მივედით. წვიმა მოდიოდა. თან საშინელი ქარი ჰქროდა.

ჩვენ იქ ლტოლვილნი დაგვხვდენ. ერთმა იმათგანმა მოგვითხრო: „ჩვენი სოფელი თათრებისაგან დარბეულია, ყველაფერი წაღებულია. გუშინწინ, როგორც მოხუცი ჩავედი სახლში რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა აფიცერი რამდენიმე ასკერთა თანხლებით. მან რჩევა-დარიგება მოგვცა: რისთვის დაიხიზნეთ, ცოლშვილი მოიყვანეთ, ოჯახურ ცხოვრებას შეუდექით. ჩვენ მხეცები არ ვართო“.

მე ვუთხარი, — როგორ გავბედო, ან როგორ გენდო, ჩემგან ყველაფერი წაიღეს, გამძარცვეს და აღარაფერი არ მაქვსო. ის იყო დავათავე სიტყვა, რომ აფიცერმა მიიხედ მოიხედა იქვე დაინახა უნაგირი და მითხრა: „ეგ უნაგირი ახლავე უნდა მომცეო“. მე გამიკვირდა და ვუთხარი: ახლა მიბრძანებდით, არაფერი არ მოგელისო და ეს რას ნიშნავს ბატონოთქვა. მე სიტყვაც არ დამემთავრებია, რომ მან ცხენი შეაბრუნა და მისმა ჯარისკაცებმა დამიყვირეს, — „ფაშას, უარს ეუბნებიო!“ — მე შემეშინა, ავიღე უნაგირი და ვუთხარი, — მიირთვით ბატონო! უნაგირი წაიღეს, დაასრულა მან.

მთელი მხარე გაძარცულია, მაგრამ ამაზე შემდეგ. ის იყო, რომ ვფიქრობდით დაძინებას, მოისმა სროლა, წინდაწინ ხმები იყო და ჩვენც მოგვითხრეს, რადგანაც ხვალ აღდგომაა, შეიძლება ბრძოლა განახლდესო. არ ვიცით, ეს ხმები ვინ გაავრცელა, მაგრამ ამ ხმებს ფართედ გაედგა ფესვები და როცა სროლა დაიწყო, ჩვენც დავფიქრდით. სროლამ ფართო ხასიათი მიიღო. კაპიტანმა ივ. ცომაიამ საჩქარო ზომები მიიღო. გამოირკვა, რომ სროლა შემთხვევითი ყოფილიყო და კიდეც ადრე მიწყნარდა.

დილით ადრე ჩვენ თ-ს პოზიციაზე ვიყავით. იქ მოხსენების შემდეგ გავსწიეთ ნ-ზე. თხრილები, სამარი „პალატკები“, ჯარისკაცნი წვიმისაგან დასველებულნი ისხდენ და იქ-აქ სიმღერა მოისმოდა.

იქ ამხანაგებმა მოგვითხრეს, რომ „კომუნისტთა“ პარტია ფურცლებს ავრცელებს, ფურცლებიც გადმოგვცეს.

შტაბში ვინახულეთ გარნიზონის უფროსი სუმბათოვი. იგი დინჯი კაცია. სალათ აზროვნობს. მასთან იყო ჯარისკაცთა საყვარელი აფიცერი და მეტათ პატიოსანი ადამიანი იკოვი, რომელმაც ჩაქვის თავის ბრძოლაში გმირულათ იბრძოლა და გაიყვანა თავისი რაზმი დიდი ომიდან. ამ იკოვს თან ეხლა ახალგაზრდა დ. ჩხარტიშვილი. ეს ის დათიკო ჩხარტიშვილია, რომელიც გამოიქცა ამ დღეებში ოსმალთა ტყვეობიდან, რომელიც გალიციაში დაიჭრა, დაიჭრა ბორჩხაში, მაგრამ მაინც დააღწია თავი და მოწინავე რაზმში ჩამდგარა. მან გვითხრა: მე აჭარლებმა მიღალატეს, წინ გამცეს, როცა დავიჭერი და ტყვეთ ჩამიგდეს და წამიყვანეს, მე მოვაწყვე გამოპარვა. აჭარლები ეხლა გრძნობენ; თუ რა დაემართა, სტირიან, მაგრამ გვიანღაა, ბათუმში აღარ დაუშვეს, ჯარში გაჰყავთ!! კრება გაიხსნა. ის. რამიშვილის გამოსვლას ტაშის ცემით შეეგებენ. ეტყობა პროვოკაცია-პროვოკაციათ დარჩა, ბოროტ ენების მითქმა-მოთქმას გასავალი არ ქონია.

სალამოს უკვე აკეთში ვიყავით. მაღალ და გაშლილ მინდორზე ხალხი დაგვხვდა. იქ ჩვენს მისვლამდე ვალოდია გოგვაძე ყოფილიყო, მოხსენება გაეკეთებია, ხალხი აღფრთოვანებით შეხვედროდა. ჩვენს მისვლამდე ხალხი დაშლილიყო, მხოლოდ მისვლისას თავი მოიყარა, ტაშით შეეგებენ ისიდორეს. ამით დაადასტურა ხალხმა თანაგრძნობა თავის წარმომადგენელთა მიმართ და სთქვა თავისი სიტყვა.

— ჩვენ თქვენ მოგენდევით, თქვენ გვიპატრონეთ, გვიმეფეთ, — ასეთი იყო ერთი მოხუცის სიტყვა...

ღამით ჩვენ აკეთში გავატარეთ. წვიმდა და ცუდი ამინდი იყო.

რა ვნახეთ ამ ორ დღეში. ბევრი რამ, ბევრი სამწუხარო. წერეთელი ყველგან დაგვდევდა. ყველა სასტიკათ იგონებს. ზოგიერთებზე კიდევ მეტს. შიმშილი ყველგან. სამაგიეროთ მებრძოლ გურულთა მტკიცე ხასიათი, ძლიერი სული, მხოლოდ დიდი მოვლენის წინაშე წამდგარი ხალხი დაფიქრებულია. ხალხი არ მომკვდარა, ხალხი იბრძვის... მაგრამ... აქ წერტილს დავსვამ, რადგანაც დაგროვილი მასალა სხვა კუთხეების დასტურს მოითხოვს.

ანანია.

## ლეჩხუმის ამბები

IV

ლეჩხუმის ამბების გამო გაზეთ „საქართველოს“ № 49-ში კარგა მოზრდილი წერილი დასტამბა ბ. ა. ასათიანმა. ამ წერილში მე მაინტერესებს ის ადგილები, სადაც იგი ყოველივე მომხდარის მიზეზათ ჩვენ, სოც.-დემოკრატებს გვასახელებს. ის სხვათა შორის ამბობს:

„რევოლიუციის პირველ თვეებში ლეჩხუმში ასევე გაიგზავნა ჯარები და ეს ეგზეკუცია რამდენიმე თვე გრძელდებოდა. მაშინაც ატყობინებდენ ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ ლეჩხუმში კონტრ-რევოლიუცია დაიწყო და ხალხი აჯანყებას ამზადებსო. გამოირკვა, რომ მთელი კონტრ-რევოლიუცია იმაში მდგომარეობდა, რომ ლეჩხუმში რამდენიმე ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა პროპაგანდისტი გამოჩენილა, რომელთაგან ზოგი მაზრიდან გააძევეს და ზოგიც ციხეში ჩაამწყვდიეს“.

დიახ, მართალია რევოლიუციის დასაწყისში, ცაგერში შემოვიდა 50 დარჩენილი რევოლიუციონერი ჯარისკაცი. ამ დროს ფრონტიდან ჯარისკაცები გამორბოდენ, დეზერტირობამ ფართო ხასიათი მიიღო და მთავრობამაც ყველა მაზრებში დელეგატები თუ რაზმები დაგზავნა, რათა ამ დელეგატებს თუ რაზმებს თავის ამხანაგებზე გავლენა მოეხდინათ და დაბრუნებული ჯარისკაცები უკან, ფრონტზე გაებრუნებიათ. უმთავრესი დანიშნულება ლეჩხუმში წასული რაზმისა ეს იყო. ლეჩხუმის ორგანიზაციებს შეეძლო წასავალ რაზმის რიცხვის შემცირება, მაგრამ მან ეს არ მოისურვა და აი რატომ: ნაძირალებმა, ლეჩხუმელმა ხულიგნებმა მუშაობა არ დაგვანებეს. პირველ თავისუფალ კრებას, პირველათ მოწვეულ ხალხის წარმომადგენლებს ქვითა და ლოდით დაესხნენ თავს. ხუცეს მარგიანს, შარდენ ყრუაშვილს და სხვა ამყოლ-დამყოლებს ამ დღეს პირველათ უნდოდათ ხალხის წარმომადგენლების სისხლში ხელის დაბანა, მაგრამ რადგან აქ კოზი ნაცარში ჩაუვარდათ შემდეგისათვის დაიწყეს მზადება და ძმა-ბიჭების ძებნა. ბ. ა. ასათიანს უთუოდ წინააღმდეგი არაფერი ექნებოდა გულზე ხელი დაგვეკრა და გვეცადა როგორ დაგვეწყნარებინა გაბიაბრუებას და ცემა-ტყეპას მისი პარტიული ამხანაგები, მაგრამ ნურას უკაცრავათ თუ ასე არას დროს არ ვიქცეოდით და არც აწი მოვიქცევით.

ყოველ შემთხვევაში ჯარისკაცები ლეჩხუმის გლეხკაცობას ეალერსებოდენ, მათთვის არავითარი წყენა არ მიუყენებიათ, ხოლო ხულიგანებს კი ლაგამი ამოსდვეს. ერთად ერთი ცოდვა ამ ხალხისა ის იყო, რომ ნაპრისტავალი კოპალიანი ჯარისკაცის ცემის გამო ციხეში ჩაამწყვდიეს. ასევე მოექცნენ ა. ასათიანის პარტიულ ამხანაგს, ვიღაც ჩიქოვანს, რომელმაც ჩვენ მიერ ახალ-ჭალაში შამშე გელოვანის ხსოვნის აღსანიშნავათ მოწვეული მიტინგი ჩვენს გასაბიაბრუებლათ გამოიყენა და უკადრის და შეუფერებელ წილადობილას მოყვა. აქ იმისათვის კაცს არაფერი უკადრებია, მაგრამ ცაგერში თურმე დეზერტირების რუსეთში დაბრუნების წინააღმდეგ გააჩაღა ხულიგანური აგიტაცია, და რაკი ეს ხელს უშლიდა რაზმს თავის დანიშნულება შეესრულებია, ამიტომ საჭირო დარჩა მის წინააღმდეგ ზომების მიღება. ყოველივე ეს რევოლიუციონური მუშაობა და წეს-რიგის დამყარება იყო და ტყვილა ცდილობს ბ. ასათიანი ამით ვისიმე გაწბილებას. არ ვიცი, რათ დასჭირდა ბ. ასათიანს სიცრუე და იმის დაწერა, თითქოს რაზმს ფედერალისტების და ხალხისათვის რაიმე ევნოს?! ფედერალისტები პირიქით ნასიამოვნები იყვნენ ამ რაზმით, თუ სახეში მივიღებთ იმ სიტყვებს, რომლითაც ისინი რაზმს მიმართავდენ. მე მახსოვს, როგორ კარგათ დაახასიათა ეს რაზმი გედეონ გაბუნიამ ახალ ჭალას შოთა გელოვანის სახლში.

რამდენათ ლეჩხუმის მოძრაობა მხოლოდ ზოგიერთ თანამდებობის პირთა დაცვას გულისხმობდა, ამაზე მე წინა წერილებში ვილაპარაკე და მკითხველი იქედან ადვილათ გაიგებდა, თუ აქ როგორ ცრუობს ბ. ასათიანი. ეხლა მე უნდა შევჩერდე მისი წერილის შემდეგ ადგილზე:

„არჩევნებზე ახალი პირები ამოურჩევიათ უმთავრესათ იმავე სოც.-დემოკრატების წრიდან. ამასთანავე ხალხს საერთო ნდობა გამოუცხადებია მაზრის კომისარისათვის, რომელიც მენშევიკი სოციალ-დემოკრატია, მაგრამ როგორც ამბობენ მაზრაში წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვაზე მეტს ზრუნავს, ვინემ პარტიულ კინკლაობაზე. და ამის გამო ხალხის საერთო ნდობა აქვს დამსახურებული, ხოლო ზოგიერთი პარტიული ამხანაგების რისხვა და უკმაყოფილება. ის ჯგუფი, რომელიც მაზრის დაწესებულებიდან დათხოვნილ იქნა, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა თვით ამ კომისარის, მათი პარტიული კანდიდატის წინააღმდეგ, და როდესაც დამარცხებულა, ლეჩხუმის მაზრა გამხდარა კონტრ-რევოლიუციონური და ბალშევიკური“.

ყოველივე აქ ნათქვამი სიცრუე არის. იმ დროს როდესაც ბ. ა. ასათიანის წერილი დაისტამბა ლეჩხუმში არავითარი ახალი არჩევნები არ იყო მომხდარი, ხოლო ძველი ორგანიზაციების წევრები მირეკ-მორეკეს. არავინ მაზრის კომისარის წინააღმდეგ ბრძოლას არ აწარმოებდა და ჩვენის ჯგუფიდან არც არავინ გადევნილა მაზრის დაწესებულებიდან. არც მაზრის კომისარის გავლენა ყოფილა იქ ისეთი, რომ ვინმე გაიდევნოს და დაიმარცხებიოს. ამის სურვილი მაზრის კომისარს კიდეც რომ ჰქონოდა, მაზრის კომისარის თავის ადგილზე დატოვება რომ მისი პატივისცემის, მოღვაწეობის და გავლენის გამომხატველი ყოფილიყო, მაშინ ერთი მაინც რატომ ვერაფერი ავიცდინეთ იქედან, რაც მოხდა? განა, მაზრის კომისარის გავლენას და პატივისცემას ნიშნავდა ის, რომ 15 ვერსზე მდებარე უღვთოთ მოკლულ ლევანის ცხედარს ახლოსაც ვერ გაეკარა? ან იქნებ ის ნიშნავს გავლენას და პატივისცემას, რომ ეს მაზრის კომისარი ზოგჯერ ციხისკენ გარბოდა და ციხეში ჩაწყვდევას ეხვეწებოდა? ასეთი გავლენა და პატივისცემა თქვენთვის დაგვილოცნია ბ. ა. ასათიანო. აქვე უნდა ვსთქვა, რომ ბრძოლამდე საქმე არ მისულა და ის კი, ზოგიერთ კითხვებს ერთნაირათ არ ვუყურებდით ჩვენ და მაზრის კომისარი, მაგრამ ასეთ დროს ჩვენს ორგანიზაციებში იგი მუდამ მარტო იყო, და რამდენადაც ეს ასეა, იმდენათ კიდევ უფრო არ შეიძლება მისგან დამარცხებაზე ლაპარაკი. ვგონებ დეკემბერში თუ იანვარში აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან წავედით მე და განსვენებული ლევანი. მე კომიტეტში პარტიის წარმომადგენლათ შევდიოდი, თავიდანვე ლეჩხუმში დიდხანს დარჩენა აზრათ არ მქონდა, ჩემდა უნებურათ, ჩვენი ორგანიზაციის მოთხოვნით დავრჩი გაცილებით მეტ დროს, ვიდრე პირველათ ვფიქრობდი და ბოლოს წავედი. რა პირობებში მოხდა ჩემი წასვლა, ეს იციან ჩემმა ამხანაგებმა და ჩვენმა ორგანიზაციამ. ლევანი წავიდა იმიტომ, რომ აღარც მას შეეძლო დარჩენა. ცხოვრება შეელია ლეჩხუმში მუშაობას და ბოლოს ოჯახის მოვლისა და პატრონობის წინაშე მოექცა. მისი წასვლა მოხდა სამაზრო კრებაზე, დარჩენას სთხოვდენ როგორც ჩვენი წრე ისე ფედერალისტებიც, მაგრამ ვერ დარჩა და თავი იხსნა დაუსრულებელი ხვეწნა მუდარით. სხვა არავითარი ცვლილება არ მომხდარა და როდესაც განდევნასა და დამარცხებაზე ლაპარაკობს თუ მე და ლევანი ვყავართ სახეში ბ. ა. ასათიანს, მაშინ მისი სიტყვები მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა.

წინა წერილში მე ვსთქვი, რომ ამბროსი პირველი ლეჩხუმში 60 კაციანი რაზმით მოდიოდა, რომ ჩვენ ამის თანახმა გავმხდარიყავით. ეს ამბროსი პირველი ლაპარაკობდა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახელით, მან ამ პარტიის ვიღაც მეორე წარმომადგენელიც კი მოიყვანა მოთხოვნილებით: არ დაგვტოვოთო და ამის შემდეგ რა უფლება გაქვთ ბ. ა. ასათიანო, ლეჩხუმში რაზმის გაგზავნის წინააღმდეგ ახირდეთ? რაც უნდა ეცადოთ თქვენ ვერ მოახერხებთ იმის უარყოფას, რომ ხუცესი მარგიანი, ამბროსი პირველი და სხვა არა ერთი და ორი ლეჩხუმელი მკლავაძე და კაცის მკვლელი თქვენი პარტიული ამხანაგები არ არიან. მერწმუნეთ არავითარ ეგზეკუციას, დამსჯელ რაზმს და კანონ გარეშე გამოცხადებას ლეჩხუმის გლეხკაცობისათვის იმოდენი არა ვნებია-რა რამდენსაც ვნებენ თქვენი პარტიული ამხანაგები და თუ ლეჩხუმი გეცოდებათ იზრუნეთ მისი ამ ხალხისაგან განთავისუფლების შესახებ.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ბ-ნ ა. ასათიანის სიცრუესა და ტყუილ-უბრალო ბრალდებებზე უფრო სამწუხარო და გულსატკენი ის არის, რომ ბ. ა. ასათიანის წერილს ყურადღება არ მიაქცია ლეჩხუმის მაზრის კომისარმა, ჩვენმა ამხანაგმა პ. ასათიანმა, და ამ წერილში გამოთქმული ქება და ქათინაურები ისე მიიღო და შეიფერა, როგორც დიდი ღვაწლის ჯილდოთ უცოდველი ხელით დაწნული და მირთმეული დაფნის გვირგვინი. ამით მან დასტური დასცა და ხელი შეუწყო იმ აზრის განმტკიცებას, თითქოს ლეჩხუმში რაზმის გაგზავნის ინიციატივა ქუთაისში დაბადებულიყოს ჩემი და ლევანის იქ ყოფნის გამო. რა თქმა უნდა ამხ. პ. ასათიანმა ძალიან კარგათ იცის, რომ ეს ასე არ არის და მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ იგი ჩუმათ არ უნდა იყოს მაშინ, როცა საერთოთ ჩვენ პარტიას და კერძოთ მის ამხანაგებს აქეთ-იქედან თავს ესხმიან ლეჩხუმში რაზმის გაგზავნის გამო. ამით მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს ამხ. პ. ასათიანისაგან მოხმარებას ვითხოვდე. არა, ჩემს პოზიციას ან სუსტათ ან კარგათ მე თვითონ დავიცავ. აქ მხოლოდ საქმე იმაშია, რომ როცა შენის სახელით შენს ამხანაგებს გაწბილებას მოუნდომებენ და ყალბი ცნობების დასადასტურებლად მოწმეთ დაგასახელებენ, მაშინ უბრალო რიგიანობა მოითხოვს კაცმა სთქვა ის, რის თქმაც შეიძლება და საჭირო არის.

რ. ყიფიანი.

## კახეთის რკ. გზის სადგურებზე

ხშირათ მიხდება კახეთის რკინის გზით მგზავრობა. მაგრამ ამისთანა შემთხვევებს არ შევხვედრივარ, როგორსაც ამ ბოლო დროს აქვს ადგილი სადგურებზე და მატარებელშიაც.

ღვინით ვაჭრობა სასტიკათ იყო აკრძალული რევოლიუციის პირველ დღეებში, მაგრამ მერე მთავრობამ ნება [illegible] ღვინის გამოტანის და [illegible] ზომიერათ ვაჭრობის. ამით ისარგებლეს სპეკულიანტებმა და კანონიერების საზღვარი გადალახეს.

ამ მხრით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კახეთის რკინის გზის სადგურები.

ზოგიერთი სადგური არაფრით არ განსხვავდება სამიკიტნოსაგან. საგარეჯოს სადგურთან ჩამწკრივებულია ღვინით სავსე ბოჭკები და როცა მატარებელი გაჩერდება, ჩაღდება ჩაის ჭიქით სმა. ამას გარდა, მეტათ სამწუხაროა ის, რომ თვით მატარებელშიაც აქვს ადგილი ასეთ მაგალითებს. კახეთიდან არც ერთი გლეხი არ წამოვა ისე, რომ ღვინო არ წამოიღოს თან ტიკით გზაში გასართობათ. ხშირად ისე ითვრებიან, რომ ჩხუბი მოსდით, რითაც ძლიერ აწუხებენ ფხიზელ მგზავრებს. ამიტომაა, რომ მატარებლის დანახვაზე გაიძახიან: „მთვრალი მატარებელი მოდისო“. საჭიროა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ვლ. კაკაბაძე.

## სააღ.-მამულო რეფორმა

**კახეთი.** თელავის მაზრაში მამულების ჩამორთმევა და მიღება მიმღებმა კომისიამ დაიწყო აპრილის შვიდში. ამ ხნიდან დღევანდლამდე ხსენებული კომისია გამუდმებით მუშაობდა.

პირველ ხანს აქ მოქმედებდა ერთი მიმღები კომისია, შემდეგ კი დაიწყო მოქმედება მეორე კომისიამაც.

ამით უნდოდათ კომისიებს საქმე უფრო დაეჩქარებინათ, რათა კახეთში მამულების მიღება მოკლე ხანში გაეთავებინათ, მაგრამ როგორც ბოლოს თვით კომისიის წევრებიც დარწმუნდენ, ორი კომისიის მოქმედება მთელ კახეთში — ეს ხომ ზღვაში წვეთი ყოფილა. წვრილი მესაკუთრენი აქ ბლომათ მოიპოვებიან, მაგრამ 7 დესეტინაზე ზევით მქონი მესაკუთრენიც არა ნაკლები არიან. ნამდვილი ცნობით მსხვილი მესაკუთრენი თელავის მაზრაში ირიცხებიან 800 მემამულემდე. კომისიამ ჩაიბარა ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ 13—14 მამული.

საჭიროა კახეთში 5—6 კომისია მოქმედობდეს. კომისიები იბარებენ მხოლოდ უფრო ძვირფას კულტურიან დარგს და რასაც ასეთს დარგს ჩქარა ჩაიბარებენ და ბევრს, მით მიღებულ მამულებიდან დღეიდანვე სარგებლობა ექნება ჩვენს მართველობას და რაც დავაგვიანებთ, მით ბევრს ვიზარალებთ.

მიმღები კომისია ჩამორთმეულ მამულებს მაშინვე აბარებს ადგილობრივ სამაზრო სააღ.-მამ. კომიტეტს.

როგორც სააღ.-მამულო კომიტეტს გამოანგარიშებული აქვს დაახლოვებით მთელს მაზრაში 200—300 დესეტინა ვენახებს ჩაიბარებს მემამულეთაგან ჩამონაჭერს.

ხსენებული კომიტეტი დღეიდანვე შეუდგა მიღებულ მამულების პატრონობას, აღძრა საგუბერნიო სააღ. მამულო კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა შაბიამნ გოგირდის დათმობის შესახებ, თხოულობს 1000 ფუთს შაბიამანს და 1500 ფუთს გოგირდს.

ამავე კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საგუბერნიო კომიტეტის წინაშე, რათა შესდგეს ახალი შტატი სპეციალისტებისა, რომ მიღებულ მამულებს პატრონობა გაუწიონ.

14 მაისს (ახ. სტ.) თელავში მოწვეულია სამაზრო სააღგლ-მამულო კომისიების კრება. კრებას იწვევს მაზრის სააღ.-მამულო კომიტეტი, ყველა სოფლებიდან მოწვეულები არიან: სოფლების კომისარი, კომიტეტის თავმჯდომარე და ადგილობრივი სოფლის სააღ.-მამულო კომისიის ერთი წევრი.

სოფლელი ამხანაგი.

## მუშათა შორის

**თფილისის ტრამვაი.** მე მსურს მივმართო ამხანაგ მუშებს თფილისის ტრამვაისას, რათა ყოველივე ნაკლი, რომელიც თან დაყოლილი თვისებაა ზოგიერთ შეუგნებელ მუშების, რომელიც ზიანი მოაქვთ, როგორც წარმოებისთვის, ასევე ამხანაგებისთვისაც გამოსწორებულ იქნას. საჭიროა და სავალდებულოა ყველა შეგნებულ მომუშავე მუშებისთვის ამ ნაკლს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. მე მინდა ამხ. მივუთითო იმ არა სასიამოვნო მოვლენებზე, რომელიც ხშირათ მეორდება. მოძრაობა ტრამვაის ვერ არის დაყენებული წესიერათ. ას ოცდა ათი ვაგონის სამაგიეროთ სულ მოძრაობაში არის მხოლოდ ორმოცდა ათი და ხან ნაკლებიც, რაითაც დიდ გასაჭირს გრძნობს მუშათა და ღარიბი ნაწილი ქალაქის მცხოვრებისა, რომელთაც არ აქვთ იმდენი დრო, რომ ერთი ან ნახევარი საათით ელოდონ ვაგონს. სულ სხვა მდიდრების საქმე. იმათ არ ეჩქარებათ, თუმცა ვაგონმა დააგვიანა და ადგილს ვერ იშოვნიან, დანიშნულ ადგილს თავის დროზე არ მივლენ, არც იმისთვის შეწუხდებიან, სამსახურიდან არავინ დაითხოვს და უზრუნველყოფილია. აქ იჩაგრება და იტანჯება მხოლოდ ღარიბი ხალხი. რომ მოძრაობა წესიერათ არ არის, ეს მუშების მიერ იყო დანიშნული „ერთობა“-ში 17 აპრილს მომხდარი ფაქტი, როდესაც ვაგონები სამაგიეროთ შვიდის ნახევრის საათისა 10 საათზე

გამოვიდა და არის კიდევ მრავალი შემთხვევები, რომ ასეთი უპასუხისმგებლო პირების წყალობით ვაგონების მიმოსვლა ნორმალურათ არ სწარმოებს, რომელთაც მუშათა ინტერესები არაფრათ ეპიტნავებათ და მათი მოსისხლე მტერია, პირიქით, ცდილობენ ყოველივე მონაპოვარი უფლებები შელახონ, მოთავეები გალანძღონ და მათ წინააღმდეგ ათასი ჭორები ავრცელონ, ასეთი პირები ჩასდგომიან დღეს სათავეში და გაფუცვასაც კი გვპირდებიან. ნუ თუ ამას ლაგამი არ უნდა ამოედოს? მე ვეკითხები ამხანაგ მოწინავე მუშებს,—ნუ თუ ეს დასაშვებია? თუმცა დასაშვები არ არის, რა ზომებს მიმართეს 17 აპრილის მომხდარ ამბის გამო? მე მაფიქრებს, როდესაც ეს პირები დღეს ამდენს ბედავენ, რომ საერთო კრებაზე თავიანთი თავმჯდომარეც კი გაჰყავთ. ნუ თუ უზრუნველყოფილი ვართ იმისაგან, რომ ხვალ კიდევ არ განმეორდება ასეთი ფაქტები და უფრო შავი დემაგოგიით არ გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისაც ჯერ არს. მეორე ნაკლი, მეტათ ცუდი ავათმყოფობა, რომლის მორჩენას არა ერთი ცდილა, მაგრამ ჯერაც ვერ განუკურნავს. რას ნიშნავს ის, რომ ყველა ვაგონები ერთად დადიან და როცა ოთხი ვაგონი გაივლის, მერე ერთი საათის ლოდინი უნდა, რომ ვაგონი მოვიდეს. მაგალითად, 7 მაისს შემთხვევით მომიხდა ერევნის მოედანზე მოცდა. მივედი სამს უკლდა ოცი წუთი, ველოდებოდი სამს ან ოც ნომერს, მაგრამ არც ერთი არ გამოჩნდა, მომიხდა იქ ლოდინი საათი და ხუთი წუთი. მე ვეკითხები იმავ მოწინავეებს: ნუ თუ ეს დასაშვებია, ნუ თუ არ შეიძლება ისე განაწილდეს ვაგონები გზაში, რომ ერთი მეორემდის საჭირო მანძილი ეჭიროთ და არა ერთად დადიოდენ ყველანი. ვეკითხები ტრამვაის პროფესიონალურ კავშირს და მათ მიერ შექმნილ საცეხო ორგანოებს: ღებულობენ თუ არა რაიმე ზომებს, რომ მიმოსვლა ნორმალურათ სწარმოებდეს და მგზავრებს არ უხდებოდეს დიდხანს ლოდინი იმ მცირე ვაგონებისაც მაინც. იმედია, ამხანაგი მუშები ამ ნაკლს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

**მუშა საფარელი.**

# პროვინცია

**სურამი.** მესამე თვეა, რაც სურამში დაარსდა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საბჭოები დიდს სამსახურს უწევენ გლეხებს მიწის და ტყის საკითხის მოწესრიგებაში, თუ წინეთ უთავბოლოდ იჩეხებოდა ტყეები, დღეს ეს სასტიკათ აკრძალულია; თუ „მობალშევიკე" ვაჟბატონებს დიდი არევ-დარევა შექონდათ მიწის საკითხში, დღეს ეს არევ-დარევა თუ სულ არა, რამოდენიმეთ მაინც მოისპო. გლეხთა საბჭოს აუარებელი თხოვნა-განცხადებები მოსდის სხვადასხვა კატეგორიის გლეხებისაგან; ყველა ამ თხოვნებში მიწის ძალით წართმევა-მითვისებაზეა ლაპარაკი. საბჭოს ზოგი წევრი მოითხოვდა ეს თხოვნა-საჩივრები ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს გადასცემოდა, რადგანაც ამათი განხილვა ჯერ ერთი, ბევრს დროს წაგვართმევს და მეორე—სოფლის სასამართლოებათ გადააქცევს საბჭოსო, მაგრამ დიდი უმრავლესობა ამ აზრს არ დაეთანხმა იმ მოსაზრებით, რომ თუ გლეხთა საბჭო გლეხთა შორის მიწის მოწესრიგების საქმეში არ ჩაერევა და ამგვარ გლეხთა უმთავრეს საჭიროების—მიწის საკითხებს არ გაარჩევს, ამით გლეხობას ჩვენ ჩამოვიშორებთ და იმათ ნდობას დაკარგავს საბჭოვო. საბჭომ დაადგინა: ჩამოერთვას ორთავე მხარეს ხელწერილი, რომ საბჭოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება და რომელიც არ დაემორჩილება, დატუსაღებულ იქმნასო. საბჭოს ყველა სოფლებში ჰყავს თავის ორი წარმომადგენელი. რომელი სოფლის გლეხებიდან შემოდის საჩივარი იმ სოფლის წარმომადგენელს, და ერთ კიდევ გარეშე სოფლის წარმომადგენელს, საბჭო ანდობს საქმის გამოძიებას ადგილობრივ. შემდეგ ისინი მოხსენებას აკეთებენ საბჭოში და საბჭოს ესა თუ ის დადგენილება გამოაქვს ხმის უმეტესობით. ამ დადგენილებას კი ორივე მხარე უნდა დაემორჩილოს. გლეხთა საბჭოში შედის ორმოცამდე წევრი შეიძლება მკითხველმა იკითხოს, თუ რატომ ასე გვიან დაარსდა მუშათა და გლეხთა საბჭო სურამში. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სურამის რაიონი (სურამის და იტრიის საზოგადოება) შედიოდა ხაშურის რაიონში, სადაც რაღაც ორიოდე წარმომადგენელი ჰყავდა ამ ორ საზოგადოებას. ამგვარ წარმომადგენლობას არავითარი ნაყოფი არ მოჰქონდა და ამიტომ ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციის თაოსნობით სურამში დაარსდა მუშათა და გლეხთა შეერთებული საბჭო.

14 აპრილს შესდგა მუშათა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კრება. მიმდინარე საქმეების გარჩევის შემდეგ კრებამ პარტიულ ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთათ შეთანხმებით დაადგინა: მოიწვიოს ახლო მომავალში სახალხო მიტინგი თანამედროვე მომენტის გასაცნობათ. ს.-დ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა კრებაზე აღძრა საკითხი პირველ მაისის დღესასწაულის შესახებ და რადგანაც პირველი მაისი (18 აპრილი ძველი სტილით) ოთხშაბათი იყო, გლეხების უმრავლესობამ მოისურვა პირველ მაისობის და თანამედროვე მომენტის შესახებ მიტინგი ერთ დღეს ყოფილიყო და ისიც უქმე დღეს და ამ დღეთ დანიშნეს „წითელი" პარასკევი, (სამი მაისი ახალი სტილით)

ამ დღეს სურამში ჩამოვიდენ საადგილმამულო კომისიის წევრები: შაქრო ჯავახიშვილი, ილარიონ ბოლქვაძე და ი. ბალანჩივაძე. შემუშავდა მიტინგის დღიური წეს-რიგი. პირველ მაისობა, თანამედროვე მომენტი და მიწის საკითხი (მიწის ახალი კანონი). მიტინგი გაიმართა პარკში. პირველ მაისის მნიშვნელობაზე, როგორც საერთაშორისო მუშათა დღესასწაულზე ილაპარაკეს ამხ. ბალანჩივაძემ, ბოლქვაძემ და ტულუშმა და რუსულ ენაზე პრუსენკომ. თანამედროვე მომენტის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შაქრო ჯავახიშვილმა. მიწის საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. ილ. ბოლქვაძემ და შემდეგ მუხლ და მუხლ წაიკითხა და განუმარტა გლეხებს სეიმის მიერ გამოცემული მიწის კანონი. მან წინადადება მისცა გლეხებს შეკითხვა მიეცათ მისთვის, თუ რომელიმე მუხლის კანონისას ვერ გაიგებდენ და გლეხებიც იძლეოდენ შეკითხვას და მიუხედავათ რომელიმე მუხლის რამოდენიმეჯერ განმარტებისა, ბევრ გაუგებრობას ჰქონდა მაინც ადგილი. მაგალითათ, წინ წამოდგა ერთი მოხუცი გლეხი და შეეკითხა: „აქ აპირობენ ჯერ აზნაურებს უნდა დაურიგდეთ შვიდ-შვიდი დესეტინა მიწა და თუ რამე დარჩება მერე გლეხებსო, ეგ კი დიდი უსამართლობა იქნება, ვინაიდან ზოგიერთმა თავად აზნაურმა რაც რამ ქონდა, სულ შეჭამა და მამულებიც გაყიდა და იმათ რომ ხელ-ახლა მიეცეთ მიწა, ჩვენ არაფერი გვერგებაო, და დასძინა: „გლეხებისათვის არც გათენებულა ჯერ და არც გათენდებაო". ამაზე შესაფერი პასუხი გასცეს ამხანაგებმა. ამხ. ბოლქვაძემ განუმარტა, რომ ამგვარი არაფერი სწერია კანონში და მე ეგ არც მითქვამსო; თუ ვინმე აზნაურმა გაჰყიდა და შესჭამა თუ რამ ებადა, იმას კანონი არაფერს არ აძლევს, მე მხოლოდ რამდენჯერმე განვმარტე, რომ კანონი მემამულეს ჩამოართმევს შვიდ დესიატინაზე ზედმეტ ადგილსო და რაც შეეხება კანონს, ამგვარი დიდებული კანონი მიწის მოწესრიგების შესახებ არსად დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებაო. შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუციები მიწის კანონის შესახებ: „სახალხო მიტინგმა, მოწვეულმა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა თაოსნობით, მოისმინა რა მოხსენება მიწის კანონის შესახებ, რომელიც გამოსცა ამიერ კავკასიის სეიმმა 7 მარტს ამა 1918 წ. დაადგინა: კრება სცნობს გლეხებისათვის ამ კანონს სრულიად სამართლიანათ, სრულ ნდობას უცხადებს სეიმსა და მთავრობას, ყოველივე ღონისძიებას იხმარს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სამიწათმოქმედო კომისიას ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ".

დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ: „მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, დაადგინა: ყრილობა სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელმაც ამიერ-კავკასიის დასაცველათ, როგორც ოსმალეთის იმპერიალიზმისაგან, ისე დამარღვეველ ანარქიისაგან, რომელიც ჩრდილოეთიდან მოიწევს ბალშევიზმის სახით, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამასთანავე საბჭოთა ცენტრი მოუწოდებს მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ბრძოლის უნარისა და დისციპლინის მქონე ჯარის შექმნით დადგეს დარაჯათ ამიერ-კავკასიის ნამდვილ დამოუკიდებლობისა და რევოლუციის ძლევა მოსილებისა".

**ხანდამან.**

---

**მარტვილი** (სამეგრელო). 8 მაისს მარტვილს ესტუმრენ ევგ. გეგეჭკორი და ბენია ჩხიკვიშვილი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს დღე მუშაობის დღე იყო, ხალხი ყანას თავს ანებებს და მიეშურება დ. ნოღალევისაკენ. ევგ. გეგეჭკორმა სამართლიანი საყვედურით მიმართა ხალხს იმ ხულიგნურ გამოსვლების გამო, რომელსაც იქ ადგილი ჰქონდა. თითეული სიტყვა, ორატორის მიერ ჩვეულებრივ ლამაზათ წარმოთქმული ღრმათ სწვდება გულში ყველას და ყველა გრძნობს დანაშაულს, ყველას რცხვენია და თვალი ვერ გაუსწორებიათ მოლაპარაკისათვის. შემდეგ ის მოხსენებას აკეთებს მომენტის შესახებ, ეხება ომის და ზავის საკითხს, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და იმ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ეს აქტი. ხალხი სულ განაბული უსმენს და ხანგრძლივი მქუხარე ტაშით აჯილდოვებს მას. შემდეგ ლაპარაკობს ბენია ჩხიკვიშვილი, კრება მასაც ტაშის ცემით ხვდება.

8 მაისში ნათლათ გამოირკვა, რომ ადგილობრივ მშრომელ გლეხობას გამოფხიზლება დატყობია. მტკიცე მთავრობის შექმნა და პროპაგანდის გაძლიერება, აი საითკენ უნდა იყოს დღეს ჩვენი გულის ყური მიქცეული.

**ანსანი.**

# წერილი რედაქციის მიმართ

**კიდევ მერვე პოლკზე.**

„ერთობის" ათ მაისის ნომერში დაბეჭდილია ვინმე ვანო ავაქოვის კორესპონდენცია თელავიდან, დიდი ნაწილი ამ წერილისა მიძღვნილია ქართულ მერვე პოლკისადმი და შეუწყნარებელი და დაუმსახურებელი შენიშვნაა ჯარისკაცთა და ოფიცერთა პატიოსნების, შეგნების, შრომისა და მოვალეობის ასრულებისა, რომელნიც დღეს ამ პოლკში სამსახურით ასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს და ერის წინაშე. ოფიცრები, რომელთა მონდობილობითაც ვწერ ამ პასუხს, საჭიროთ თვლიან აცნობონ საზოგადოებას საქმის ნამდვილ ვითარებაზე, რომელიც ავაქოვის წერილში სისწორით არ არის გადმოცემული. ავაქოვი წერილის შესავალში აცნობს მკითხველს თელავის მაზრაში მძვინვარე ანარქიის ამბავს და ერთგვარ მიზეზათ ასეთ ანარქიისას იგი სთვლის პირდაპირ მერვე პოლკს. იგი აფრთხილებს მკითხველს, რომ ისეთი ელემენტები შეკრებილა და ისეთი ხასიათის საქმიანობა დატრიებულა ამ პოლკში, რომ ადვილათ შესაძლებელია ძველი ამბავი (ამბოხება) დატრიალდეს.

ვანო ავაქოვს ყური მოუკრავს ასეთის მუქარისათვის: „დედას გიტირებთ რაღაც წითელი გვარდია ხართ, სდგება ჩვენი მე-8 პოლკი და წინ დაგვიდექით თუ ბიჭები ხართო!" ყოველივე სიტყვა ცეცხლის ალივით ედება აღგზნებულ საზოგადოებას და ავაქოვის მიერ მოყვანილ სიტყვებს დიდი ზარალის მოტანა შეუძლიათ. ჩვენ, ოფიცრები, კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ არავითარ ამნაირ ქვენა, არა-საკადრის და დამნაშავე აზრს მერვე პოლკის ჯარისკაცებში ადგილი არა აქვს. ბ-ნი ავაქოვი, ალბათ იმიტომ, რომ თავის სიტყვებს მეტი ფასი მისცეს, ამბობს, რომ მან 15 აპრილს თითონ დაიარა კაზარმები და მორიგე ოფიცერიც ვერ ნახა, თუ მისი ბედნიერი თვალები მოისურვებდა დაინახავდა არამც თუ რომ მორიგე ოფიცერი იყო იმ დროს თავის ადგილზედ, აღდგომა დღიდგან პოლკის უფროსის ბრძანებით დანიშნული იყო კიდევ ყოველ როტებიდან და ცალკე კომანდებიდგან თითო ოფიცერი, რომელთა მოვალეობა იყო კაზარმებისათვის თვალყური ედევნებინათ, თვით ქალაქშიც ჩვენი პატრული დაიარებოდა ოფიცრის თანხლებით სამი დღე. ასე ასრულებს თავის მოვალეობას ოფიცრობა—ამის თქმა უნდა ავაქოვს ალბათ. მერე ვინ მისცა ასეთი „რევიზიის" უფლება ვანო ავაქოვს? ის უფლება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ სამხედრო მთავრობას და ქართველი ჯარის სარდლობას? ჰოდა ჩვენი უბედურებაც და დიდი უბედურებაც იმაში გახლავთ, რომ ყველა გამვლელი სთვლის თავის თავს სრულ უფლებიანათ ილაპარაკოს ისეთ საგნებზე, რომლებზედაც წარმოდგენა არა აქვს. **ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ავაქოვის მოყვანილი ცნობა მთლათ სიყალბეა, რომ პოლკში ახეთ ღალატს თავის მოვალეობისას არა ჰქონია ადგილი.** ჩვენ კანონიერის გზით მოვითხოვეთ პასუხი ჩვენ სახელის უკადრისათ მოხსენებისათვის, მაგრამ ამასთანავე ჩვენ შევეკითხებით ჩვენ მთავრობას—შესაძლებელია თუ არა არსებობდეს ისეთი ბოროტება ჯარში, რომელზედაც უთითებს ავაქოვი და თუ იგი არ არსებობს, შესაძლებელია თუ არა, რომ **არ დაისაჯოს ის ბოროტი ცილის მწამებელი, რომელიც ასეთ ჩირქსა სდებს ახალგაზდა სახელმწიფოს უპირველეს განხორციელებას, მის ჯარს?**

**ჩვენ მოვითხოვთ გამოძიებას სასტიკს და სამართლიანს,** ჩვენ გვწამს, რომ საშინელი მტერი ჩვენი თავისუფლებისა გახლავთ აღვირ ახსნილი უპასუხისმგებლობა, უსაზღვრო შეგინება შრომისა და პიროვნებისა, თავისუფლებისა—სწორედ იმ ბედნიერებისა, რომელიც უნდა დაამყაროს ბრწყინვალეთ მოსილმა დემოკრატიამ*)

ოფიცერთა მონდობილობით **პოდპ. მძინარიშვილი.**

---

*) ბ. ოფიცერთა წერილის გამო საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ შემდეგი: ავაქოვი, როგორც კორესპონდენტი, სწერს იმას, რაც ნახა—ეს არის მისი მოქალაქობრივი მოვალეობა. სულ სხვაა, თუ ის სინამდვილეს ამახინჯებს. მისი წერილი არ გმობს მთელს პოლკს, ის ლაპარაკობს გახულიგანებულ ვაჟბატონებზე. რაც შეეხება რევიზიის უფლებას, ჩვენც ვფიქრობთ, რომ ასეთი უფლება კერძო კაცს არ უნდა ქონდეს. მაგრამ როცა ავაქოვმა ჩამოიარა ყაზარმები, რატომ მაშინ არ მოსთხოვეს საბუთი—ქონდა თუ არა მას ამის უფლება. და თუ არავინ მოსთხოვა, ეს ხომ იმას ამტკიცებს, რომ ყაზარმებში მართლა არ ყოფილა წესიერება. ასეთ პირობებში ხომ ყოველ არამზადას შეუძლია ყაზარმებს ეწვიოს და იქ არასასურველი აგიტაცია გასწიოს. ორში ერთი: ან ავაქოვს ქონდა ჩამოვლის უფლება და მაშინ ოფიცერთა გულისწყრომა უადგილოა, ან ავაქოვს არ ქონდა ამის უფლება,—მაშინ მტკიცდება, რომ უწესოება მართლა ყოფილა ყაზარმებში.

**რედ.**


ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტმა ქალმა ელენე კვირკელიამ

## დაჰკარგა

მეტრიკული ამოწერილობა № 103, მპოვნელს უმორჩილესათ ვსთხოვ დააბრუნოს უნივერსიტეტში. (1—1)

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით.

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება სალ. 5-8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილის 10—12 საათამდე. (24—24)

---

ექიმი

## გ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფ ბ.

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

ექიმი

## ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14. (24—1)

---

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე ყარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 19

---

## ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სკასიშვილისა ტელ. № 5—77

---

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

---

ექიმი მიხაილ ...

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4 კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48 ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

---

დ. სარაჯიშვილის ექიმის თანაშემწე

## ვ. გ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კბილებს ნემსებს ცივ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებობიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თანაშემწე ქალი

## მ. პ. გაგარინა-ლაშხი

ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

## ექიმი ნ ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

## ექიმი კ. ი. ზვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. შჩენიევის ქუჩა, № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00

---

## ექიმი დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელეფონი 14—37.

---

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

**მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.**

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგბით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე, ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 3—97.

---

ოთხშაბათს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე, დემოკრატიული კლუბის ბინაზე (მეშტაიდში) გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი იწვევს

## საზოგადო კრებას.

განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები. მოხსენებას გააკეთებენ გურიიდან დაბრუნებული ამხანაგები. დასწრება აუცილებლად საჭიროა. (1—1)

---

ოთხშაბათს, 15 მაისს საღ მოს 7 ნახ. ს. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში

## შესდგება თათბირი

ქალ. საბჭოს წევრის დ. მ. პოპოვას თავმჯდომარეობით, განიხილავენ პროექტს არსებულ საბარათო სისტემის რეორგანიზაციისას, რომელიც არის გამომუშავებული ცენტრალურ საბარათო ბიუროსა სასურსათო სამინისტროსთან ერთათ. აღნიშნულ თათბირზე იწვევენ ყველა მცოდნე პირებს, ვინც კი მოისურვებს მონაწილეობის მიღებას. (2—2)

---

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის **სახალხო სახლი.**

სახალხო სახ. არსებულ ქართულ წარმცდ. მმართველი წრე. ოთხშაბათს 15 მაისს ახალი სტილი 1918 წ წარმოდგენილი იქნება

## მელანიას ოინები

კომ. 4 მოქ. გაუპტმანისა გად. კ მესხისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი არჯევანიძე, ნინონი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ ბ. გ. ანაშვილი, ნ, გოცირიძე, გელიკურაშვილი, ალ. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი, ამბ. ივერელი და გ. სვანელი.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 55 კ.-დე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 მდე და საღამოს 6—8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენა 23 მაისს. რეჟ. **კ. შათირიშვილი,** რეჟ. თანაშემწე **ალ. ბადრიძე** ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—2)

---

## სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი

სწავლობდა კიევში, ტეხნიკურ სასწავლებელში

**ბინათ სცხოვრობდა ჟილენსკის ქუჩაზე № 55. ორი თვე არის რაც არაფერი ვიცი მის შესახებ.** თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობისკი ტუპიკი № 11, **ნინა ლაზრიშვილი.** (6—5)


[illegible] № 1